# ცისკარი

---

**1862**

თებერვალი.

4

წელიწადი მეექვსე.

## წოდება თხზულებათა:


I. —ირაკლი მეორის მეფობა საქა-
რთჳელოში. . . . . . . . თ. რომან ხერხეულიძისა.

II. —სიტყჳა, თქმული ქუთაისის სობო-
როში კჳრიაკის ოცდა პირჳელსა. გაბრიელ ეპისკოპოზისა.

III. —სიყრმე შექსპირისა. . . . . გ. დიდებულიძისა.

IV. —ლექსები სხჳა და სხჳა მწერლებისა.

V. —წიგნი, მოწერილი რედაკტორთან. ეფთჳმე წერეთლისა.

VI. —სხჳა და სხჳა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ირაკლი მეორის მეფობა საქართველოში.

(განგრძელება.)

წელსა ჩღმთ, მეფე თეიმურაზ ერანიდამ მობძანდა. ერანში იბრეიმ-შაჴ მოკლეს, სრულიად ერანი აირია, ერთმანერთს რბევა და ტყვევნა, აოხრება დაუწყეს, ამ ჟამად მამად-ხან ვინმე ადირბეჟანის მხარეს გამალიანებული მრავალსა ქვეყანასა აოხრებდა რომლისათჳს მოსწერეს ერევნელებმან, მეფესა თეიმურაზს და მეფესა ირაკლის, ერანში მპატრონე აღარ არის, ეს მამად-ხან ამ ქვეყანას აოხრებსო მოგვეშველე-

ნით, ამას მოგჳარჩინეთ, და თქჳენ გემსა-ხურებითო, ამაზედ მეფე თეიმურაზ და მე-ფე ირაკლი ორნივ ჯარებით წავიდნენ, ერევნის მისაშჳელებლად, სოლო მეფე ირა-კლი წინ წავიდა ხუთასის კაცით, და ეს-რომ მამად-ხანმან შეიტყო თავისის სრუ-ლის ჯარით წინ მოეგება, მეფეს ირაკ-ლის შემოება, მოსცა ღმერთმან ძლევა და გამარჯჳება მეფეს ირაკლის, გაიქცა მამად-ხან ყარაბაღში წავიდა, ხორგჳრაბის ციხე გამაგრებული ჰქონდა მამად-ხანს, თავისი ცოლშჳლი იმაში ჰყჳანდა, მივიდა მეფე ირაკლი შემოადგა იგი ციხეც აიღო და მამად-ხანის ცოლ შჳლიც გამოიყჳანა, რაცა აქჳნდა სიმდიდრე საზინისა ყოველივე მე-ფეს ირაკლის დარჩა, და წამოიღო მობ-მანდა ერევანს, მოვიდნენ ერევნელები მეფეს თეიმურაზთან და მეფე ირაკლისთან, თჳთ ერევნის ხანიც მოვიდა, მოსცეს თავი მო-სამსახურედ, დაიდვეს ხარკი, დასჳეს თა-

ვისი კაცი ერევანში, და გამობრუნდნენ. ყარაბაღის ხანი აჯი-ჩალაბი, შეკრბენ განჯა ყარაბაღისა, და შაქი-შირვანისა ჯარებითა, მოვიდნენ ყაზახში აღსტაფაზედ, ამ ჟამადვე მეფენიცა ერევნიდამ ყაზახში გამობრუნდნენ, გარნა ამ შეკრებულმან ხანებმან, ომი ვეღარ გაუბედეს, შირიდეს, სიმაგრეში დადგნენ, დაუწყეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის ლაპარაკი მშჳდობისა, და ზავ-ყვეს ურთიერთისადმი, გამობრუნდნენ, ხოლო მეფენი მობმანდნენ ტფილისს, გამარჯვებულნი, და მიერ დღიდგან იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთა ვითარმე მოსლვადმდე საქართველოსა შინა ყაჯარი მამად-ხანისა, გარნა ვერცა მან მოშალა სრულიად ერევნისა სამსახური საქართველოსადმი.

წელსა ჩინ, მოვიდა ყარაბაღის ხანი ფანა განჯას შემოადგა, მოსწერა წიგნი განჯის ხანმა და განჯელებმან, დაითხოვეს

შეწევნა მეფის თეიმურაზისაგან, და მეფის ირაკლისაგან ამისთჳს შემოკრიბნეს ჯარები მეფემან, წარემართნეს, ესენი რომ ყაზახსში ჩაბმანდნენ, ფანა ხანმა რომ ამათი მიმავალობა შეიტყო განჯას შემოეცალა, თჳსსავე ქჳეყანაში ყარაბაღში წავიდა, გარნა ჯარები გაიმრავლა, ეს მეფენი რომ განჯას ჩაბმანდნენ, შავერდი-ხანი თავისის ჯარებით მეფებს შემოეყარა, წავიდნენ ყარაბაღში, ფანა-ხანიც დიდის ჯარებით წინ მოეგება საბრძოლველად, და ერთმანერთზედ მოშორებით დადგნენ, ხოლო მეფე ირაკლი ორასის კაცით ჯარების დასახედავათ წავიდა, იმათაც შეიტყჳეს, მთლათ ერთიანათ ჯარებმა შემოუტივეს, მეფემან ირაკლი, ამა ამბის საცნობელად ერთი კაცი გაგზავნა მეფე თეიმურაზთანა, ესე ამბავი აცნობა. თჳთ მეფე ირაკლი ამ ცოტას ჯარით საბრძოლველად დაუდგა, ვითარცა მოპირდაპირე ესრეთ გამბედავი არა რიდებდა

ომსა. შეექმნათ ომი და გაგრძელდა ბრძოლა. მეფე თეიმურაზიც ჯარებით მიეშუელა გარნა უწინარესვე გაემარჯუა, სანამ მეფე თეიმურაზ მიბმანდებოდა, მოსცა ძლევა ღმერთმან მეფეს ირაკლის და დამარცხა იგი ძლიერი ჯარი, გააქცია და ამ გაქცეულთა ჯართა მოსწუდნენ მდევრულად მეფის თეიმურაზის ჯარნიცა, და მრავალი მოჰკლეს და დაიჭირეს. მეორეს დღეს ორნივე მეფენი ყარაბაღის მოსარბევლად გაემზადნენ, წაბმანდნენ, არეზს გამოღმა მთელი ყარაბაღის მამული დაარბიეს, მრავალი იშოვეს, და დაჰყუეს მუნ თთუე ორი და მოინდუეს მთელი ყარაბაღელნი, დასდვეს ხარკი განჯა ყარაბაღსა, მოსცეს ამისი პირობა სადაც ჯარი გინდოდესთ ჯარიც მოგცეთო, წამობმანდნენ და მოვიდნენ ტფილისს გამარჯუებულნი.

სოლო, ამასვე წელსა შეკრბნენ დაღისტნელნი მოვიდნენ მოპარვის გუარად, ვი-

თარცა არის ჩჳეულება მათი მარადის, და-
არბიეს ელები, და მრავალი იშოვეს ტყვე
და საქონელი, სცნეს რა ესე მეფეთა გა-
მოუდგნენ მოეწივნენ, მყის სადაც ერთჳს
იორის მდინარე ალაზანსა, იმ ალაზნის
პირზედ შეიბნენ, მოსცა ძლევა ღმერთმან
მეფეთა და გაუმარჯჳათ, მრავალი ლეკი
მოკლეს და უმრავლესნი ალაზნისაგან მო-
იშთჳნენ ლეკნი, გადარჩენილნი რომელნიცა
გაღმა გავიდნენ, არცა ისინი განათავისუფ-
ლეს, გაჰყჳნენ გაღმა, შეშინებულთა მათ,
გადანარჩომთა ლეკთა მიმართეს ერთსა,
დამწჳარსა ფლატიანს გორებსა, სიმაგრის
იმედეულთა, შევიდნენ იმ გორა-
ებში მოსქდა ეს ფლატიანი დამწჳარი გო-
რა, ასე დაინთქნენ ეს გადარჩომილნიცა
ლეკის ჯარი რომ მოამბეც აღარ წასუ-
ლა, წარმოვიდნენ მეფენი გამარჯჳებულნი
მოვიდნენ ტფილისს, და მიერითგან ვერ-
ღარა იკადრეს ჯარად გამოსჳლა ლეკთა,

გარნა ქურდულად არა დასცხრებოდენ ავაზაკობასა.

წელსა ჩღნბ, ქორონიკონს ულთ. წაბმანდნენ ორნი მეფენი ჭარისა და შაქი შირვანისა დასაპყრობლად, ჯარები შემოიყარეს იორზედ წავიდნენ, იქ მოერთჳნ, განჯა ყარაბაღის ხანები ჯარებითა, წავიდნენ ჭარი დააგდეს, და ჭარს ქჳშით აგრისზედ გავიდნენ, მოვიდა ნუსის-ხანი აჯი-ჩალაბი, შემოიყარნა ჭარელნი დაუდგნენ პირდ პირ ეზრასა აჯი-ჩალაბი იდუმალ მეფეთა თანა მყოფთა, განჯისა და სხჳათა ხანებთა, გადაიბირნა ესე ხანები, მეორესა დღესა შემოება აჯი-ჩალაბი, მეფეთაც დასტები დაწყეს და მიმართეს ძლიერად, ორი და სამი დასტა დაამარცხეს, აჯი-ჩალაპისა ქართველთა, კასთა და ორი ძლიერი სანგარიც დააგდებინეს, მაშინ აჯი-ჩალაბი მოუხდა ყიზილბაშთ ხანების დასტასა, განზრახჳთა ურთიერთისათა, უწინარეს მისვლი-

სა გამოიქცნენ ესე ხანები თავიანთ პი-
რობისამებრ, წარვიდნენ თჳსსა მხარესა
მშჳდობიანად, რა ესენი გაქცეული ნახეს
საქართუელოს ჯარმა, ესენიც აირივნენ,
ურჯულმან ჯარმან ვერღარა შეიძლეს და-
დგრომა, და გიმოიქცნენ, მეფები სიმხნითა
თჳსითა მრავალს ეცადნენ, გარნა ვეღარა
შეიმაგრნეს ჯარნი, მიზეზითა ამით მრავა-
ლნი მოსწყდნენ, ქართუელ გახნი და უმ-
რავლესნი ალაზანთა შინა მოსწყდნენ და
მოვიდნენ ორნივე მეფენი ტფილისს დამა-
რცხებულნი, ხოლო ესე იქმნა თუესა, ფე-
ბერვალსა. ამასვე წელსა, ივნისის თუეში
მალითა აზატ-ხანისათა მოვიდა ერევანს
დაუწყო ბრძოლა რბევა და ოხრება, ვი-
ნაითგან აზატ-ხანს ეპყრა მიდია, რომელ-
არს ადირბეჟანი,იწოდებოდაცა მპყრობელად
სპარსეთისად, ხოლო ამისთჳს მოსწერეს
მეფესა ირაკლის ერევნელთა, ვინაითგან
გამლევთ ხარკსა, და ვართ მორჩილებასა

ქუეშე თქუენსა გაქუსთ ვალი და თანამდებობა, რათა განვათავისუფლო ესე ვითარისა მძლავრისა კელისაგან, სთხოვეს მიშუელება ერევნისა, შემოიყარა ჯარები ივნისის თუეში, მიეშუელა ერევანს, გარნა ოდეს სცნა მუსახანმა, რომელიცა ადგა ერევნისა ციხესა, მისვლა ირაკლი მეფისა, მასვე წამსა შემოეცალა მუსა-ხან ციხესა, მირიდა, ხოლო მეფე ირაკლი მივიდა ერევანს, დიდად შეჭირუებულნი უსაზრდელობითა, ერევნელნი აღავსო საზრდელითა, მიუტანა მრავალი საზრდო, თჳთონ გამობრუნდა ქანაქირსა, დაემყარა ბულაღზედ კარვს ავაში, დადგა მასლობელად ერევნისა, რომელიცა შორავს ერევანს ვიდრე თორმეტ ვერსამდე, ვითარცა აღაჯი ერთი, თუმცა ესე მუსახან ერევანს შემოეცალა, გარნა დაუყოვნებლივ მისწერა წიგნი აზატ-ხანს, აცნობა მყოფსა მიდიასაშინა მისვლა ერევანს ირაკლი მეფისა, ყოველი ქმნილი მე-

ფისა ირაკლისაგან, ხოლო რა სცნა ესე განძჳნებულმან აზატ-ხან, შემოიკრიბნა ჯარები, ყიზილბაშისა და აღნისა, ვიდრე ორმოცი ათასამდე, ესრედ რომელ თორმეტი ათასი მხოლოდ შუბიანი კაცი ჰყვანდა, თოფიანს ჯარს გარდაისათ, ჰქონდა თორმეტი ზარბაზანი, ორასი ზამბურაკი, რომელიცა უგრძნეულად მოვიდა, გარნი-ჩაიზედ ჩამოხდა, რომელიც ესე გარნი-ჩაი შორავს ქანქირს ოცითა ვერსითა. სალამოზედ კაცი მოუვიდა მეფეს ირაკლის, აზზატ-ხან დიდის ჯარით მოვიდა, გარნი-ჩაიზედ ჩამოხდაო. მოუწოდა მეფემან ირაკლიმ ქართუჱლთა, კახთა და რჩევა შეექნათ, ქართუჱლთა და კახთ გამობრუნება ამჯობინეს, უფროსი ერთა, გარნა მეფემან ირაკლი არა ინება გამობრუნება და ბრძანა: იცოდეთ მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავდგებიო, ამაღამ რომ გავიქცეთ ხუალ გზაზედ მოგუჱწევიან, უნამუსოდ სიცოცხლეს

ნამუსიანად სიკჳდილი სჯობსო, ეს ყველამ ვიცით, რომ სიკჳდილის შვილნი ვართ, ჩჳენ გჳარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლისათჳს ნუ მოვაყივნებთო. ამაზედ რაოდენნიმე თავადნი პირჳელნი ჩინებულნი გჳამნი ეთანხმავნენ მეფესა ირაკლის, და დაამტკიცეს პირდაპირ ომი მძლავრისა, რომლისათჳს აღრიცხა მეფემ მხედრობა თჳსი, რომელიცა იყო რიცხჳთ სამი ათასი და ამ რიცხჳსა შინა იყო თათარი ხუთასი, ავადმყოფი ხუთასი, ხოლო ესე ხუთასნი ავად მყოფნი, ბარგის-კაცნი დაჰშთნენ ლავირთა შინა, წარვიდა ორი ათასის კაცითა, აზატ-ხანის შესაბმელად, ცოტა რამ წარვლეს, იქიდამაც გამოჩნდა აზატ-ხანის ჯარები და დასტები, მაშინ გადახტა მეფე ირაკლი, დაემხო მიწასა, ღმერთს შეევედრა, აღსდგა, გამობრუნდა, და უთხრა მხედრობათა: ჩემნო ძმანო და შვილნო. თქჳენ ჩემის განძლიერებისათჳს, და ჩემის გულისა-

თჳს იხოცებით, ღმერთმან თქუჱნთან დიდი-
მოვალე ვარო, და დღეს მე რაც გითხრათ
ის დამიჯერეთო, და სისხლსა თქუჱნსა
მე ვინდობო. მაშინ ყოველთა მხედრობათა
ერთობით ნება სცეს და მოახსენეს: მეფეო,
დიდებაო ჩუჱნო, სისხლი ჩუჱნი თქუჱნთჳს
შემოგვიწირავს, ბძანებასა თქუჱნსა აღვა-
სრულებთო. რადგან ესეოდენი ერთგულო-
ბა, და სიმხნე ერთგულხთ მხედრობათა
თჳსთა იხილა, მაშინ უბძანა, სანამდინ მე
ცხენზედ არ შევჯდე თქუჱნ ნურავინ ცხენ-
ზედ ნუ შეჯდებითო, სანამ ჩემი თოფი
არ გავარდეს, მანამდინ თოფს ნურავინ ეს-
ვრითო. მაშინ ქათველთა კახთ ერთობით
აღუთქუჱს ბრძანებულისა მის აღსრულება,
ხოლო ხუთასნი იგი თანა მოუმენი თათარ-
ნი ირაკლი მეფისანი, შესხდნენ ცხენსა და
განემორნენ, ქართუჱლთა ჯართა, გავიდნენ
ცალმხარეს, და გაკეთდნენ ერთ დასტად,
და დაადგრა ერთი ერევნელი თათარი აი-

რუმლუს სულტანი, მეფის ირაკლის თანა, სახელით ალავერდი, მხილველმან მეფემან თჳსისა ჯარისა სიმცირისამან, ფრიად მხურვალედ თაყუანისცა ჯუარსა ქრისტესსა ცრემლით და ყოველნი სპანი თჳსნი ათაყუანა ჯუარსა, მაშინ მოვიდა თათარიცა იგი ალავერდი სულტანი, და ჰკრქუა ჯუარსა ქრისტესსა, მეტყუელმან ესრეთ: უკეთუ შემლება რამ არის, დღეს გამოჩნდებაო და დაადგრა მეფესა ირაკლისთანა, მაშინ წარუმღუა მეფე ირაკლი ათასს ხუთასს კაცსა და ქუეითელებსა, წუნარად. სადაცა უფრო დიდი დასტა იყო აზატხანისა იმას მიმართა, მოვიდა განრისხებული აზატ-ხან, თავის ჯარები გარს შემოახჳა, ოთხსავე კუთხეს ეს ოდენ ახლოს მოიწივნენ, რომ შუბი აღარ გაიმართებოდა, ლამოდნენ იგონი, ცოცხლივ შეპყრობასა ქართუელთასა, მაშინ მოახსენა ერთმან ხანმან ვინმე აზატხანს: დასტორი მიბომეთ, რათა წარვი-

დეთ, მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართო მე. მანცა ნება სცა, დია სისწრაფით ცხენ მალობით მოვიდა, რომელსაც საბრძოლველად აქჳნდა შუბი კელთა, კმა-ჴყო ამაყმან: ჴანი ირაკლი ხან? რომელ არს ქართულად, სად არის ირაკლი მეფეო, მაშინ გაუსჳდა მეფე ირაკლი მკჳრცხლად და შესძახა: მე ვარ ირაკლი მეფეო, შესძახებისავე თანა მისცა თოფსა ცეცხლი, და გავარდა თოფი მეფისა, მოხუდა მას ხანს გულსა, გადმოვარდა ცხენით, დაეცა წინაშე მეფის ირაკლისსა, და ოდეს იხილეს ესე ვითარი სიმხნე ქართჳვ̃ლთა, კასთა მეფის ირაკლისაგან, განმლიერდნენ ესენიცა, ერთობით მისცეს ცეცხლი თოფთა თჳსთა, ყოველთა, რაც მასლობლად მოსულნი ყიზილბაშნი დაავლანი იყჳნენ ერთიანად ჩამოცჳვდნენ და დაეცნენ მიწათა ზედა, მაშინ აღჯდა ირაკლი ცხენსა თჳსსა, და აღუხსნა სპათაცა

თჳსთა აღმხედრება და აღმხედრდნენ სპანი, გაიკრეს კრმალთა კელი და ერთობით შეუტიეს, მყის თანად მისვლასავე აოტეს ყიზილბაშ ავღანნი, მას დღესა თანა ჰყუებოდა, აირუმლუს სულტანი ალავერდი, რომელმანცა ითხოვა სასწაული ჯუარისაგან, იყო მხნეცა, წარვიდა სირცხჳლეულად მეოტი აზატხანი, და გამარჯუებასა ამას შინა დარჩა მეფესა ირაკლის თორმეტი ზარბაზანი, ორასი ზამბურაკი თავისის ასის აქლემით, დროშა მრავალი, ორი ათას სუთასი კარავი, ხოლო ტყჳსა და საქონლის რიცხჳ არ ეგებოდა. იგი ალავერდი სულტანი, დიდათ განკჳრვებული იტყოდა წინაშე ჯუარისა, ეს საქმე კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელი იყოო, მაგრამ ამ ჯუარის მადლმან, ჰყოო, ესრეთ თქუა, საჩ-სანა ყურბან-ოლიმ, რომელ არს: ჯუარო, შენთჳს მსხუერპლად შევიწირვიო. თუმცა ესოდენ ირწმუნა

და სთქუა, გარნა არა ნათელსილო, წამოვიდნენ მეფენი და მოვიდნენ ტფილისს გამარჯუჱბულნი, ხოლო ესე ძლევა იქმნა ივლისში.

წელსა ჩღნგ, ქრისტესს შემდგომ, თუჱსა იანვარსა მოსწერეს წიგნები განჯის-ხანმა, შუშის-ხანმა და ყარაბაღის-ხანმა, მიიწჳეს და აღუთქუჱს მეფესა თეიმურაზს და მეფესა ირაკლის, რათა ინებონ მეფეთა მისვლა ნუსის ხანს, აჯი-ჩალამბზედა, ესენიცა იასლნენ შემწედ თჳსითა ჯარებითა, ამისთჳს ინებეს მეფეთაცა წაბრძანება, და ჯარები შემოიყარეს წაბძანდნენ მეფენი და განჯას წაბძანდენ, იქ ზემოხსენებულნი ხანები შემოეყარნენ თჳსითა ჯარებითა, შემოფიცეს ერთგულებასა ზედა, გარნა არა დაადგრნენ ფიცსა ზედა, სძლივა ჩუჱულებამან სიმუხთლისამან, ვითარცა ქმნეს უარისი ომსა ზედა ედრეთცა აქედამ იდუმალ დაუწყეს წიგნების წერა ნუხის-ხანს

აჯი-ჩალაბს, დაიბარეს შენ გამოდი შენის ჯარებით, როდესაც შენ გამოხჳალ, ჩჳჱნ შიგ ვუღალატებთო, ეს ამბავი მეფებმან შეიტყჳჱს, იმათი მიწერილი წიგნები ხელთ ჩაიყარეს ვინათგან ერწმუნებოდენ მეფენი მათგან, ამ გჳარსა დრკუობასა, ვითარცა არა აქჳნდათ ჭეშმარიტებით ერთგულებაჲ, ამისთჳს განიზრახეს მიგება მაგიერისა და ზემოხსენებული იგი ხანები ერთობით დაიჭირნეს, ამ ხანების დაჭერაზედ ამათი ჯარებიც აირია და თჳთ მეფეთაცა თჳსნი ჯარები დაუწყობელნი ჰყჳანდნენ, ამ შემთხჳჱვისა უკჳჱ, ნუხის-ხანი, აჯი-ჩალაბი შირვანისა დაღისტნის ჯარებით, ესრეთ არეულთა ჯართა შემოება, იქმნა უბედურება, დამარცხდნენ მეფენი, მრავალნი მოისრნენ ქართჳჱლ კაცნი ბრძოლასა შინა, უმრავლესნი შამშადინელთა გასწყჳტეს გზაზედ ხოლო მეფენი მოვიდნენ ტფილისს ლტოლვილნი თჳჱსა მარტსა.

ამასვე წელსა, მაისის თჳეში შემოიყარა ჯარები აჯი-ჩალაბის შჳლმან ალაქიშიმ გამოვიდა განჯას შაქი შირვანის ჯარით, აქ შემოეყარნენ ყარაბაღის ხანი ჯარით და განჯის-ხანი ჯარით მოვიდნენ ყაზახ ბორჩალუ აჰყარეს, თჳთონ ბაიდარში დადგნენ უშიშრად, რადგან ქართჳელკახნი ახალი დამარცხებულნი იყჳნენ, დასუსტებულნი, მეფე ირაკლი წაბმანდა არაგჳს ხეობაში იქიდამ ჩერქეზნი და ოსნი ჯარად გამოიყჳანა, ეს მთის კაცნიც წამოიყჳანნა, სანამდის მეფე ირაკლი იქიდამ გამობრუნდებოდა, მანამდის დაღისტნის ბელადმა ზუბეიდალამ, დაღისტნის ბელადები, დაღისტნის ჯარები შემოიყარა მოვიდა ზემო ქართლში, საქართჳელოს რბევა დაუწყო და ვანის გალავანს შემოადგა, აიღო შიგ მყოფნი მრავალნი სულნი დაატყჳევნა, აქიდამ წავიდა თიღჳას შემოადგა ამ ჟამად მეფე ირაკლიც ხეობი-

დამ გამობმანდა ჩერქეზის ჯარით, ეს ანბავი დუშეთს შეიტყო ამ ჩერქეზის ჯარს წარუძღუანა ჯიმშერ ერისთავი, და გივი ამილახვარი, იმ ლეკის ჯარზედ გაისტუმრა თიღვას მისაშუწლებლად, თჳთ მეფე ირაკლი კახეთ წაბმანდა ჯარების გამოსაყუანად, ლეკთა თილჳა ველარ ხილეს გამობრუნდნენ, პატარა ლიახჳს გამოღმა კარბის სოფელთან რომ მოაწიეს იმ დროს ეს ჯიმშერ ერისთავი, გივი ამილახვარი შემოეყარნენ ჩერქეზისა ჯარით შეუტიეს და ლეკის ჯარი დაამარცხეს, მრავალი ლეკი მოკლეს წამოვიდნენ, ქალაქს მეფესა თეიმურაზთან ჩამოვიდნენ, მეფე ირაკლიც კახეთის ჯარით ჩამოვიდა ორნივ მეფენი ქართლ კახეთისა, ჩერქეზის ჯარით ტფილისიდამ გავიდნენ, ესენი რომ სოღალუხს ჩავიდნენ, ბაიდრიდამ აჯი-ჩალაბის შჳლი ალაქიში და სხჳა ხანები ვინც იყუნენ აიყარნენ და უკან გაბრუნდნენ, ყაზახში

მივიდნენ, ეს მეფენი გატეხილ-ხიდზედ მივიდნენ, იგი ხანები გეჰიყაიაზედ იდგნენ იქიდამ აიყარნენ და გაქცეულივით დიახ საჩქაროდ წავიდნენ, შამშადინში თოუზზედ მივიდენ იქ ორ დასტად გაიყუნენ, დამალნენ ქართუელთა და კახთა, გარნა ამათი ესრეთ საჩქარო წასვლა რომ იხილეს ამათაც დასტები მოშალეს, ჩაფაულსავით ცხენ ჭენებით გამოუდგნენ, მეფე ირაკლი ჩაფაულთან იმყოფებოდა, მეფე თეიმურაზ წინარათ დასტა დაწყობილი წავიდა, როდესაც თოუზზე ქართუელთ ჯარი თავ წულილად მისული ნახეს, ისინი დასტა დაწყობილნი მზირად უდგნენ, რა ამათი ესრედ თავ წულილად მისვლა იხილეს, ფიცხელად შემოუტიეს, მრავალი კაცი მოკლეს, ამაზედ მოასწრო მეფემან ირაკლი, დიდი გრძელი ომი შეექნათ, მოსცა ძლევა ღმერთმან მეფეს ირაკლის, გაემარჯუა, მრავალნი კაცნი მოკლეს, და მრავალნი ცო-

ცხალი დაიჭირე!, ოცდა ათი ვერსტი მეტი სდიეს ვიდრე სამის საათის სავალადმდე, მიჰყჳნენ, და გამობრუნდნენ გამარჯჳებულნი მოვიდნენ ტფილისს.

ამასვე წელსა ჩღნვ, ქორონიკონს უმა, ასტყდნენ დაღისტნელნი რბევად ქართლისა, ორასობითა, სამასობით დავიდოდნენ მრავლად მრავალთა ადგილთა, დიდად შეამჭირვეს ქართლი და მეფე ირაკლი მრავალს ადგილს დახჳდა და დაამარცხა ლეკნი, გარნა არა დასცხრნენ ლეკნი რბევად ქართლკახეთისა, სიმრავლისა გამო მათისა განგრძელდა მათგან რბევა ქართლკახეთისა.

წელსა ჩღნდ, ქორონიკონს უმბ, ავარის ხანმა ხუნძახის ბატონმა ომარხან, შემოიყარა დაღისტნის ჯარები და გამოვიდა უგრძნეულად, შიგნით კახეთში შემოიარა იქიდამ მოვიდა არაგჳზედ, დუშეთს შემოადგა, რომელ არ არს ციხეკობია, აიღოიგი, იქიდამ წამოვიდა მჭადის ჯვარს შე-

მოადგა, ამ საქმის მცნობელნი მეფე ირაკლი, კახეთის ჯარით მოეშჳელა არაგჳზედ დუშეთს მოვიდა მეფე თეიმურაზცა ქართლიდამ მობმანდა ჯარით, და ორნი ესე მეფენი დუშეთს შეიყარნენ, მეორეს დღეს მივიდნენ, და მჭადის ჯვარს მდგომს ომარხანს, ჭილურტის მხრიდამ შემოებნენ, მოსცა ღმერთმან ძლევა გა გაემარჯჳათ მეფეთა, დაამარცხეს ხუნძასის ბატონი, მრავალი ლეკი მოკლეს, წარვიდა ხუნძახის ბატონი ფრიად მეოტი დაღისტანში, მოვიდნენ მეფენი ტფილისს გამარჯჳებულნი, გარნა არა დასცხრნენ ლეკნი ქურდულად რბევას ქართლისა და კახეთისა: კჳალადცა შეკრბენ დაღისტნელნი მივიდნენ ქართლში დირბის ციხეს შემოადგნენ, მოეშჳელნენ მეფენი, დაამარცხეს ლეკის ჯარი, მრავალნი მოსწყჳტნეს, ციხეცა იგი განარინეს აღებისაგან.

წელსა ჩღნე, ქორონიკონს უმგ, კჳალად

შემოიკრიბა, ავარის ხანმან ხუნძახის ბატონმა ომარხან, დაღისტნის ჯარები ჩამოვიდა, და მოადგა ყვარელის სოფელსა ამას მოერთვნენ, ჭარელნი, და შაქი შირვანელნი, ვითარცა არს ჩვეულება მათი დინ-თალიბისა, ქრისტიანეთა ზედა, მოვიდნენ და მოადგნენ ციხესა ყვარელისასა ვიდრე ოც ათასამდე, ოცდა რვა დღე ადგნენ და შეაჭირვეს ყვარელის ციხე გარნა გამოერჩივნენ ქართველ კაცნი მხნენი ვიდრე ორასამდე, შესწირეს სისხლი მსხვერპლად ქრისტიანობასა, ერთგულებისათჳს მეფეთასა, ბმანებითა მეფეთათა შეეშველნეს ციხესა ყვარელისასა, შეუტანეს ტყჳა წამალიცა, მეფე თეიმურაზ დადგა თელავს და მეფე ირაკლი ქისიყს წაბმანდა, იქ შეკრიბნა მხედრობანი, გაუსია ჯარში მოსწვეს ჯარი, მოარბიეს ყოვლითურთ, ხოლო ამისნი მსმენელნი ჭარელნი, მცნობელნი აიყარნენ და გაეცალნენ, ყვარელიდამა ამათ

მიჰყჳნენ მაქი შირვანელნი, მეფენიცა წარვიდნენ ყვარელის მხრისაკენ ჰსცნა ესე ავარის ხანმან, აიყარა და წარვიდა ვითარცა მეოტი და განთავისუფლდა ყჳარელი.

წელსა ჩღნვ ქორონიკონს, ჳმდ, დაიწყეს ეგრეთვე რბევა და ოხრება ქართლისა დაღასტნელებმან ქურდულად ჯარებმა ვიდრე ასადმდე და ორასადმდე გამრავლებით, მრავალთა ადგილთა ცალცალკე ხიარული შექმნეს. ამით დიდად შეამჭირჳეს ქართლი, გარნა არცა მეფე ირაკლი დასცხრა დევნითა მათითა რომელმანცა მრავალჯერ სდევნა დაამარცხა იგინი, ესრეთითა შრომითა, აქჳნდა ცხოვრება და სიმხნითა თჳსითა მეფობა რომლისა რიცხჳ არ იქმნების თუ რაოდენჯერ გაუმარჯვნია ამ წვრილად მოსიარულე ლეკებზედ მეფესა ირაკლის, გარნა არა დასცხრნენ დაღისტნელნი ავაზაკობისაგან.

ამასვე წელსა ჩღნვ, ქორონიკონს ჳმს,

საქართჳჱლოს თათარი ელები ჩჳჱულებისაებრ მთაზედ წავიდნენ, იქიდამ გაიქცნენ, ერევნის მამულში წავიდნენ, მცნობელი ამისი მეფე ირაკლი ზემო ქართლში წაბმანდა, იქ იდუმალ ჯარები შემოიყარა, აგჳსტოს თვეში, თრიალეთი გარდავლო, ჩავიდა ერევნის მამულში სეკტემბრის თჳჱში, არეზის პირზედ ყარასუ ეწოდება იქ მოეწია, საქართჳჱლოს ელები სულ ერთობით გამოაბრუნა, მოიყჳანა, ოკტომბრის თჳჱში თავ თავის ადგილს დააყენა.

წელსა, ჩღნზ, ქორონიკონს უმე, მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ზემო ქართლში ბმანდებოდნენ, და წვრილს ლეკის ჯარებს სდევნიდნენ ორგან სამგან დაამარცხეს, მივიდნენ მრცხინვალს დადგნენ სუბუქათ თავის ამალითა, სხჳა დაბარებული ჯარები არა ჰყჳანდათ, ამ ჟამად დალისტნის ბელადი ჩონჩოლ მუსა, პატარა ისა და იტინა ბელადები მოვიდნენ მრცხინვალს, დალისტნის

ჯარით, ოთხი ათასის კაცით, პირდაპირ სროლა დაუწყეს, ვინათგან არა ჰყჳანდათ ჯარები მეფეთა, ამისთჳს ვერა იკადრეს რაზმით ომი მინდორთა ზედა ამისგამო სიმაგრით ბრძოლა უყჳარს ძლიერად, გარნა მასვე ღამესა აიყარა დაღისტნის ჯარი და წავიდნენ ალს და აიღეს ალის ციხე დაატყჳევეს მრავალნი სულნი.

წელსა ჩღნჱ, ქორონიკონს უმვ, ამ წელს ოკტომბრის თვეში დიდი ჯარი დასხდა ლეკისა ღართის კარში, კონსტანტინე მუხრანის ბატონი მოკლეს, სხჳა გზის ქარავანიც წაასხდინეს და წავიდნენ, დახჳდა მეფე ირაკლი ნაფარეულში ამ ლეკის ჯარსა და ასე გაწყჳტა რომ მცირედნიღა გადარჩნენ.

წელსა ჩღნთ. ქორონიკონს უმზ, გამოვიდნენ კჳალად დაღისტნის ჯარებით, ჰყავსთ ვიდრე რჳა ათასამდე კაცნი, ესენი გაიყარნენ, ჩონჩოლ-მუსა მივიდა აჩაბეთს, აჩაბეთი აიღო, მრავალნი სულნი დაატყჳევნა, შევლო ლიახჳ-

ზედ, სამაჩაბლოს ოსები დაარბივა, წავიდა იმერეთის ოსები კუდაროც მოარბია, გამობრუნდა მოვიდა,ავნევს სოფელს შემოადგა,კოხტა ბელადი მივიდა ატოცის ცისეს შემოადგა, მივიდნ,ნ მეფენი თეიმურაზ და ირიკლი ქართლ კახეთის ჯარით ყორნისს, მეფე იმერეთისაც სოლომონ შემწე, ექმნა მეფეთა შეექმნათ რჩევა თუ რომელსა მიეშუელნენ, ავნევს ანუ ატოცს, უმჯობესად განიგულეს მიშუელება ატოცისა, მივიდნენ ატოცს სწრაფად, დილას ადრე თავს დასხნენ ლეკის ჯარსა ატოცს, აოტეს კოხტა ბელადი, ლეკის ჯარნი მრავალნი მოსწყჳტნეს, სამთა ამათ მეფეთა სჳათა სიმხნე და სიმარჯუე ყოველთა კაცთა მოსაწონი იყო, სდევნეს და ლტოლვილნი იგი ლეკნი მივიდნენ ავნევს, ჩონჩოლ-მუსასთან, აცნობეს ესე ყოველი ქმნილი მარცხი, ამ საქმეზედ იგიცა აიყარა, შემოეცალა ავნევს, მოვიდა დვანს სიმაგრეში

დადგა ჯარით, მასვე დღესა მოვიდნენ სამნივე მეფენი ავნევს მოსაშჳტლებლად, გარნა არღარა ადგნენ ლეკნი ავნევსა, სცნეს მეფეთა დჳანს დგომა ლეკის ჯარისა, მივიდნენ მეფენიცა, პირდაპირ დაუდგნენ, გარნა ვერღარა იკადრეს გამოსვლა ლეკთა საომრად დასტით, არამედ მცირედთა კაცთაგან მოხდა თოფთა ცემანი, სიღამემან უსწროთ და არღარა მოხდა ომი, დადგნენ მეფენი მას ღამეს ახლოდ ლეკის ჯარისა, ხჳალისათჳს ომისა იმედეულნი, გარნა მას ღამესავე აიყარა ჩონჩოლ-მუსა და გაიპარა ჯარით, მეორეს დილას სცნეს მეფეთა გაპარჳა ლეკის ჯარისა გამოუდგნენ, მაგრამ ველარ ეწივნენ.

წელსა ჩღჲ, ქორონიკონს უმჱ, ამ წელს წავიდა მეფე თეიმურაზ როსიასა შინა იმპერატრიცა ელისაბედთან სავედრებლად,

ამასვე წელსა ჩღჲ, ქორონიკონს უმჱ, ზანტი ქარიმხან განძლიერდა, ყაჯარი მა-

მაღხან დაამარცხა, და ომში მოკლა, ავღანი აზატ-ხან გამოაქცია, თავის ქჳეყანისაკენ ველარ წავიდა, ადირბეჟანისაკენ წამოვიდა ჯარით, ბევრი ავი საქმე ქმნა ავაზაკებრ, მოუწერა ქარიმხანმა მეფე ირაკლის ძმობით და სიყჳარულით წიგნი, აზატ-ხან ადირბეჟანის მხრისაკენ წამოვიდა ქჳეყნებს არბევს და აოხრებს, უკეთუ მანდეთ გამოჩნდეს სადმე, დაიჭირე გამომიგზავნე და ერანზედ დიდი ვალდებულება იქნება, ამ ჟამზედ აზატ-ხანმაც იმ ადგილებში ველარ მოიცადა, დაღისტნისაკენ წამოვიდა, სცნა ესე მეფემან ირაკლი, გარდაასწრო ყაზახში, თავის ჯარებით სულ ერთიანად დაიჭირა აზატ-ხან, ქარიმხანს გაუგზავნა, ჯარი მისი ყოველნი განათავისუფლა, თავის ქჳეყნებში გაისტუმრა, ეს საქმე ქარიმხანმა მეფეს ირაკლის დიდად დაუმადლა, მრავალი ფეშქაშები გამოუგზავნა და დაუმტკიცა ერევანი, მოუწერა ხანს

ერევნისასა რაჲცა ხარკი საჴელმწიფო ედვას ყოველსავე მეფესა ირაკლის უნდა მისცემდეო, და ემორჩილებოდე ვითარცა არის წესი მორჩილებისა, მოსწერა სხჳათა ხანებთა ადრი-ბეჟანისათა, მორჩილება მეფისა ირაკლისა.

ამასვე წელსა ჩღჲ, ქორონიკონს უმჱ, ლეკემბა ჯავახეთი დაარბიეს და მრავალი კაცნი დაატყუჳჱვეს, დახჳდა მეფე ირაკლი ღამე ყარაიაზედ ეს ლეკის ჯარი დაამარცხა, მრავალი ლეკი მოკლეს, ტყუჳჱ და საქონელი სულ გააყრევინა, და მისცა ნება და სულ თავის ქჳჱყანაში გაისტუმრა, ეს გამარჯუჳჱბა იყო, ივნისს. დ.

წელსა ჩღჲა, ქორონიკონს უმთ, წამოვიდა დაღისტნის ჯარი, საქართჳჱლოს ასაოხრებლად, სცნა მეფემან ირაკლი, ჯარის შეყრა ველარ მოასწრო, თავის ამლით წავიდა სულ-ჭყულიანში, იქ დაემალა, რომელ არს ნათლის-მცემელის უდაბნოს მხ-

რისაკენ, თჳთ მეფე ირაკლი ყარაულად წავიდა, ნახა რომ ჯარი ლეკისა ორისა და სამის ზომით ამის ჯარზედ უმეტესობენ იგი ლეკნი, გარნა მობმანდა ასეთს ადგილს დაასჳწდრა, ესრეთ შეამკვრა ეს თავისი ამალა რომ მისვლასავე თანა გაიმარჯჳწს და აოტნეს ლეკნი და მრავალი ლეკნი გასწყჳტნეს,

წელსა ჩღჲბ, ქორონიკონს უნ, შიგნით კახეთს ახმეტას სოფელს ლეკის ჯარიმივიდა, ამას მეის თანად მიუსჳდა მეფე ირაკლი, შეება, დაამარცხა და მრვალი ლეკი მოკლეს, წავიდნენ დაშთომილნი სირცხჳლეულნი,

წელსა ჩღჲგ, ქორონიკონს უნა, ამ წელს მივიდა სამაჩაბლოში კეხჳს, ლეკის ჯარი, მიასწრო მეფემ ირაკლიმ, გაიმარჯჳა და მრავალი ლეკი მოკლეს.

წელსა ჩღჲდ, ქორონიკონს უნბ, ამ წელს მრავალწყაროზედ დახჳდა მეფე ირაკლი

ლეკის ჯარსა, გაიმარჯჳა, და გასწყჳტა.

წესა ჩღჲე, ქორონიკონს უნგ, ამ ლეკის ჯარმა გორი დაარბია და ტყჳჱბი წაიყჳანეს, დასჳდა მეფე ირაკლი სამგორის მინდორში ღამე, ეს ლეკის ჯარიც გასწყჳტეს, ტყჳჱბიც სულ დააყრევინეს.

წელს ჩღჲზ, ქორონიკონს უნე, ერევნის ქურთები გადგნენ და აღარა მოსცეს ხარკი, წარვიდა მეფე ირაკლი, ივნისის თჳჱში იმათაც შეიტყჳჱს მეფის მიმავალობა, გაიქცნენ, არეზისა მდინარესა გავიდნენ, არარატის მთას იქით რომ მივიდნენ მოეწია მეფე ირაკლი, დაარბია ქურთები, მრავალი იშოვნეს, ესრეთ უმეტესი მოსაცემელსა ხარკის, ვიდრე ათ ზომადმდე, და მოვიდა ტფილისს.

ამასვე წელსა დაღისტნის ჯარი გარდავიდა იმერეთს რაჭის სოფლები მოაოხრა, მოარბია, სამასამდინ ქრისტიანე ტყვე იშოვნეს, წამოვიდნენ, სცნა ესე მეფე

ირაკლიმ შემოიყარა ჯარები მივიდა იორის წყალზედ დადგა, ყარაულნი განუწესა ცნობისათჳს მათისა მიმავალობისა, მივიდნენ ლეკნი საქონლითა და ტყჳთა, შეება მეფე ირაკლი დაამარცხა, ტყუჱ და საქონელი სულ დააყრევინა, ის ლეკნი ასე გასწყჳტა რომ დაღისტანში მოამბე აღარ მისულა.

წელსა, ჩღჲთ, ქორონიკონს უნზ, კუალად განდგნენ ერევნის ქურთები და არღარა მოსცეს ხარკი, წავიდა ეგრეთვე ჯარით მეფე ირაკლი, მოეწია არეზს გაღმა დაარბია, მრავალი იშოვეს ჯარებმა, მოვიდენ ტფილისს, ქურთნიც მოვიდენ ერევნის მამულში თჳსსავე ადგილსა ზედა დადგნენ და აძლევდნენ ხარკსა, მიერითგან ვერღარა იკადრეს განდგომად, და იყუნენ მეხარკეობასა ქუეშე მეფის ირაკლისასა.

წელსა ჩღო, ქორონიკონს უნჱ, განიზრახა მეფემან ირაკლი ახალციხეზედ წა-

სვლა, ვინაჲთგან რუსნი და ოსმალნი აშ-ლილნი იყვნენ, რუსეთის მხედრობა ბრძო-და ოსმალთა საბერძნეთის მხრისაკენ, სა-ქართველოშიაც წარმოავლინა იმპერატ-რიცა ეკატრინამან რუსეთის უძლეველი მხედრობა, მხედართ მთავრობასა ქვეშე ღე-ნარალ მაიორის გრაფ ტოტლებენისასა, ამის წინა წელიწადებში იყო მოსული, მდგომარეობდა ჯარით მრცხინვალს, ეზრახა მეფე ირაკლი ამ ღენარალს ტო-ტლებენს, შეითქვნენ, წარვიდნენ, ახალციხე-ზედ მივიდნენ პირველად შემოადგნენ აწ-ყვერს, რამდენიმე დღე ადგნენ, ამაზედ შე-იყარნენ ოსმალნი, დაღისტნის ბელადი კოხტა, მაშინ დიდად გამოჩენილი იყო, ესე-ცა დიდის ჯარით, ამ ოსმალთ ჯარში იმ-ყოფებოდა შემწედ ოსმალთათჳს მოვიდნენ მოეშველნენ, აწყვერს, იყო მარადის მლი-ერი ომი, დაუცხრომელად ფიცხელი ცემა თოფთა, ხოლო შთააგდეს შური ბოროტთა

კაცთა, უზიდევდნენ ღრაფ ტოტლებენს ავსა სიტყუასა, ამის მალით შემოსწყრა ღრაფ ტოტლებენი მეფესა ირაკლის, აიყარა თავისის ჯარით, წამოვიდა, მივიდა მეფე ირაკლი მრავალს ეხუეწნა, გარნა არ უსმინა, ნებისაებრ თჳსისა გამობრუნდა, ხოლო დადგრა მეფე ირაკლი და ჰსთქუა ესრედ: უმჯობეს არს აქა სიკუდილი ჩემიო ვიდრემდის ამათგან რუსებს ეკნოს რამეო, მხილუელნი ოსმალ ლეკნი გამობრუნებისათჳს რუსების მხედრობისა, არამცირედ განძლიერდებოდნენ, გამოვიდოდნენ გაამაყებულნი, შემოებნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, ვიდრე სამ საათამდე, ლეკნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა შინა, რუსნიცა ჩამოვიდნენ ხეობაში სამშჳდობოს ადგილს, ამის შემდეგ მეფე ირაკლი აიყარა მასვე დღესა, წამოვიდა ჯავახეთის მხრისაკენ მინდორზედ გამოვლო აწყუერიდამ თორმეტი ვერსი და

მუნ დადგა მას ღამესა. გამოჭყჳნენ ოსმალ ლეკნიცა ამას ღამესავე, აარჩიეს ოსმალთ ცხენოსანნი კაცნი, მოასწრეს წინ და ასპინძის ხრამის პირი შეუკრეს, მოვიდა მეფე ირაკლი ასპინძას, ასპინძის ხიდის ფიცრები ააყრევინა, მტკჳარში გარდაყარეს, ამ დროს ზოგი ერთნი ქართჳჱლის ჯარის კაცნი აყრილს სოფლებში საქონლის საშოვნელად წავიდნენ, შემოუტიეს დამალულმან ოსმალის ჯარმან თავ წვლილად დაფანტულს თათრების კაცთა დაამარცხეს ეს ჩაფალუის კაცნი, მოჭყჳნენ ხოცით ვიდრე მეფემდინ, ამის მხილჳჱლნი მეფის ჯარნიცა შეიმრჳნენ რომელნიცა, მასთან იყჳნენ დაიწყეს ვლტოლად. მეფე ირაკლიც მოჭყჳა და ევედრებოდა დაბრუნებასა, გარნა ვერავის ასმინა მცირედთაგან კიდე, დაუბრუნდა თჳთ მცირედითა კაცითა, ექჳჱთა მლიერად მალითა ღჳთისათა, აოტნა ოსმალნი, მაშინ მხილჳჱლნი სხვანიცა მეფისა-

ნი მოიქცნენ დაუწყეს დევნა, ლტოლვილთა ოსმალთა, მრავალი კაცი მოკლეს, გამობრუნდნენ გამარჯუჴებულნი ვიდრე ერთი საათი გამოვიდოდა უკუნიდამ გამოდგომილნი ოსმალ-ლეკნი მოეწივნენ, რიცხჳთ ვიდრე ათი ათასამდე, სპანი მეფისანი გზისა სივიწროსა მიზეზით აშლით თავ წვლილად მოვიდოდეს დასტა დაუწყობელნი,ოდეს იხილა მეფემან ირაკლი ეს ჯარები მიწევნილი. მაშინვე თჳთ მეფე ირაკლი გამობრუნდა რაოდენთამე ჩინებულითა, შინა ყმითა თჳსითა, მჴდითა ხევსურითა ეკჳფთა ფიცხელად, გასწირა თავი თჳსი ვიდრე სიკჳდილადმდე, იყჳნენ ყოველნი თანა მეოფნი მეფისა თანა, ქართლ კახნი მხნედ უმეტეს მჴდნი იგი ხევსურნი თუმცა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ გარნა გავრცელებისათჳს დავიდუმებ, უკანანიცა ჯარნი მეფისანი, რომელნიცა იყჳნენ გზის სივიწროვისაგან წარგმელებული, რა სცნეს

მეფისა ესე ვითარებანი იგინიცა შედგნენ ვიეთნიმენიცა მამაცნი კაცნი მობრუნდნენ მეფესთან, იქმნა ბრძოლა ძლიერი, თჳთ მეფემან ირაკლიმ მოკლა დაღისტნის ბელადი კოსტა, ივლტოდენ მრავალნი ოსმალ ლეკნი, მიჰყუნენ ქართუელ-კაცნი, ოსმალ-ლეკნი დახოცეს, გაქცეულთა ოსმალთა და ლეკთა ასპინძის ხიდს მიმართეს, ქართუელნიცა სდევნიდნენ ფიცხლად, ხიდისა ფიცრები უწინარეს ახდილი იყო, რომელმანც ერთს ისარზედ სიკისკისითა თჳსითა გასვლა ვერ შეიძლო მისგან კიდე ყოველნი დახოცეს უმრავლესნი წყალში შესცჳვდნენ და იმითი მოიშუთნენ, ვინათგან მტკუარი მაშინ გადი-დებულ იყო, ამისთჳს ვერ უძლეს მშჳდო-ბით განრინება მტკურისაგან, მრავალი იმო-ვეს ქართველ კაცთა, მოვიდნენ ტფილისს გამარჯუებულნი.

წელსა ჩღოა, ქორონიკონს უნთ, მეფე ირაკლისთან იყო ამ ჟამათ ვლოვი, ივანე

ლავრენტიჩი მინისტრად წარმოვლენილი, ამან უთხრა მეფეს ირაკლის, ვინაჲთგან თქჳენსა და ღრაფ ტოტლებენსა შორის შფოთი რაჲმე არის შთამოვარდნილი თუ რომ ოსმალთ, არ აეშლები ერთს რასმე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცა ეკა-ტრინა გელმწიფეს უთუოთ ღრაფი შეგაჲს-მენს, ეს ასე არ ვარგაო, ამისთჳს რჩე-ვით განიგულა მეფემან ირაკლი აშლა ოსმალთა მოიბირა ერთი ბეგი ხერთჳსისა შემოიყარა ჯარები მივიდა საწინაღმდეგოდ ხჳანთქრისა, რომელიც არის პირჳელი ცი-ხე, საათაბაგოსი ხერთჳსი დიდად გამაგ-რებული იგი აღიღო, მრავალი ხაზინა მჳრფასნი ნივთნი გამოიტანა, თჳსნი მე-ციხოვანნი შეაყენა, გარნა ლოვმან ივან ლა-ვრენტიჩმან, არ ინება ციხისა შენახჳა სიტყჳთა ამით, რომელ ესე საქმე რუს-გელ-მწიფის ერთგულებად კმა არსო, და ცის-ში მცჳელთგი ნუღარ დააყენებო, ამისთჳს

რომ არამც ხუანთქარის ძალა მოვიდეს, ეს ციხე ძალად აგუართუან სირცხჳლი იქნებაო, გამოიყუანა მეფემ ირაკლიმ მც-უელნი ხერთჳსის ციხეს შეყენებულნი, მრავალნი ტყუე, საქონელი გამოიტანეს, ძჳრფასნი ნივთები იშოვნეს, რომელშიაც მდიდარნი ხალხნი სცხოვრებენ ხერთჳს ქა-ლაქში, ამისგამო აქუნდათ მრავალი სიმ-დიდრე, მეფე ირაკლი ჯარით ქართლში გადმოვიდა; გარნა სამაგიეროთ ხერთჳსისა გამოუსია ახალ-ციხის ფაშამ ოსმალისა და ლეკის ჯარი ქართლის მოსაოხრებლად ამ დროს მეფე ირაკლი მრცხინვალს იდგა, ეს ჯარი რომ სჳთის სოფელს მოუხუდა ამ ზემოს მინდორზედ ჩაფაული გამოუ-შუეს, მოასწრო ჩქარად მეფემ ირაკლიმ ხელთჳსის მინდორში დაამარცხა ოსმალ-ლეკნი, მრავალი დაკოცეს, ლტოლვილნი ოსმალ-ლეკნი ავიდნენ ახალ-ციხეს, სოლო ამა საქმეზედ გაიერთა ახალ-ციხის

ფაშამ ლეკნი მოიყუანა, დაღისტნის ჯარები, აოხრებდენ ქართლსა, იყო მარადის ქართლსა შინა მათგან დაუცხრომელი რბევა, თუმცა მეფემან ირაკლი არა მისცა თავსა თჳსსა განსჳჱნება, მრავალგზის დაამარცხა ლეკნი, გარნა იგინი არა დასცხრნენ, ესე ყოველი აცნობა ლოვმან ივან ლავრენტიჩმან, იმპერატრიცა ეკატრინა კელმწიფასა.

წელსა ჩღობ, ქორონიკონს უჲ, კუალად უთხრა ლოვმან ივან ლავრენტიჩმან, მეფესა ირაკლის, ერთხელ კიდევ დაჰკარ ხუანთქრის მამულსაო, რომ შენს ერთგულებაზედ გული დააჯეროსო, ეზრახა ამა საქმეზედ იმერეთის მეფეს სოლომონთან, შეკრბენ ორნივე მეფენი სურამის ბოლოს გარდავლეს მთა საციციანოსი, მივიდნენ ჯავახეთის ახალ-ქალაქს შემოადგნენ, ძლიერად შეამჭირვეს ვიდრე აღებამდე გარნა ამ ჟამსა მეფე იმერეთისა სოლომონ ფრიად ავად

განდა საოფლით რომელ სიკუდილმდე მია-ხლოვდა, ამისთჳს ინებეს წამოყვანა მეფის სოლომონისა, სრულებით აიყარნენ იმერელნი, წამოიყვანეს მეფე სოლომონ და მეფე ირაკლიც შემოეცალა ციხესა ახალ-ქალაქისასა, მოარბიეს მამულნი ახალ-ციხი-სანი, არტაანი, ჯავახეთი და მრავალი ტყუე და საქონელი იშოვნეს და წამოვიდნენ, ხოლო ესეც მისწერა ლოვმან ივან ლავრენ-ტიჩმან იმპერატრიცა ეკატრინა კელმწიფასა, აცნობა ერთგულება მეფის ირაკლისა, მე-ფისა სოლომონისა, შემდგომად ამისა იმპერატრიცა ეკატრინამაც წამოუვლინა ღე-ნარალ მაიორი სუსოტინი, დაიბარა ღრაფ ტოტლებენი.

ამისა შემდგომად მიესმა ესე ყოველი ყოფილი მეფის ირაკლისაგან ხუნთქარს, განმჯნდა მეფეს ირაკლისა ზედა, მოსცა აზრუმს აქეთი სულეიმან ფაშას, წარმოუგ-ზავნა ხაზინა რათა განიმრავლოს ჯარები,

ემტეროს მეფეს ირაკლის და ქართლსა, ხოლო მან წარგზავნა საგანძური მალი დაღისტანს და გამოიყუანა დაღისტნის ჯარები, მიიყუანა ახალ-ციხეს, დაიწყო ავაზაკებრ რბევა, ქართლისა, იმპერატრიცა ეკატრინამაც მიაქცია მხედრობა თჳსი რუსეთად, მიზეზითა ამით, რომელ ზავყო ხონთქრისა თანა, საქართველოცა დაშთა მფარველობასა ქვეშე რუსეთის ამპერატორისასა, გარნა არა დასცხრა სულეიმან ფაშა ბძანებითა ხვანთქრისათა, იყო მარაბდის ტყვეჩუნა ოხრებასა შინა, ავაზაკებრ წარმოავლინა ერთი პირი ჯარი ზემო ქართლს, მოარბიეს ზემო ქართლი და მივიდნენ უფლის ციხეს, ამ ჟამად კახეთის ჯარიც იმყოფებოდა ქართლში, მოეწივნენ ქართველ-კაცნი, შეიბნენ, და იმლივნენ ქართველ კაცნი, ოსმალ ლეკთაგან, მრავალნი მოსწყვიტნეს, ხოლო ამისა მეორეს დღეს ქართლის პირს გამოუშვეს

თარეში ოსმალ ლეკთა, გავიდა მეფე ირაკლი, შეება და მრავალნი ოსმალ-ლეკნი დახოცეს და დიდად გაიმარჯუა, მუნ გარდახდა მაშურალი ომისაგან განსუენებად, გარნა მოუვიდა ამავე ჟამსა ამბავი რომ უფლის-ციხეს თქუენი ჯარი დაამარცხესო, რომლისათჳს ფრიად მწუხარე იქმნა.

ამასვე ჟამსა განძლიერდა ქარიმხან, ჰსცნა მეფის ირაკლისაგან მორჩილება რუსეთის იმპერატორისა, ქუეშე საფარუელისა მისისა შესვლა, განძჳნდა მისთჳს ვინადგან იყუნენ მრავალნი მოშურნენი მეფის ირაკლისა, ადირ-ბეჟანის ხანები, სხუანიცა აბეზღებდნენ მეფეს ირაკლის ქარიმხანისათანა, რომლისათჳს შეკრიბნა ჯარნი ერანელნი, მოვიდა თავრიზს, სცნა მეფემან ირაკლი მომავალობა ქარიმხანისა, არა მწუხარე იქმნა მისთჳს, ვინადგან იმედეულმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხუანთქრისა, არცაღა მორ-

ჩილუბდა მოადგილესა ყაენისასა, და ამ ჟა-
მად დაშორებულიყო მფარუწლობა და მხე-
დრობა რუსეთისა, გარნა გამბედავმან, გა-
მოცდილმან მეფემან ირაკლი წარგზავნა
ორნი სანდონი გუამნი კარის კაცნი თჳს-
ნი თავადნი: ანდრონიკასშჳლი ქაიხოსრო,
მდივანბეგი, თავადი თარხანის-შჳლი ზაზა,
ყორა იასაულბაში, რომელნიც წარავლინნა
დესპანად, აცნობა ყოველივე ერთგულება,
მხნეობა თჳსი, ვითარცა ბრძოდა ოსმალთა
და აქუნდა ოსმალთაგან შეწუსება, ხოლო
მივიდნენ რა ესე წარგზავნილნი თავადნი
თავრიზს ქარიმხანთან, რომელიცა ლამოდა
წარმოსვლად და ბრძოლად მეფისა ირაკ-
ლისა, მაშინ მისრულთა ამათ თავადთა
მრავლითა ლაპარაკითა, და ღონისძიებითა,
ვითარცა აქუნდათ დაბარება მეფისა ირაკ-
ლისაგან, ეგრეთ მოამშჳდეს ყარიმხან და
გაბრუნდა თავრიზიდამ. განერა მეორესა
მძლავრსა მეფე ირაკლი, გარნა ვერა და-

ამშჳდა ახალციხის ფაშა სულეიმან და ბრძოდა მარადის ლეკის ჯართა, ქართლსა მოვიდნენ უგრძნეულად, მრცხინვალი წაახდინეს, რაც ციხეს გარეთ ხალხი იყო სულ დაატყუევეს, ვიდრე ექუსასამდე, ოსიაურის ციხეც აიღეს, იქმნა ესე ყოველი შემთხუევულება, მიზეზითა მით რომელმანცა ურჩია აშლა ოსმალთა, არა ჰყუანდა შემწე რომლისაგამო არა ერთგზის მიეცა მწუხარებანი, გარნა სიმხნითა თჳსითა ვერა რომელმან დაიმორჩილა მეფე ირაკლი და ფლობდაცა თავის-უფლებით, მარადის ებრძოდა ოსმალთა და ლეკთა, ვინათგან ბრძოდა მძლავრი ვინმე კელმწიფე, არა აქუნდა პირდაპირ ძალი, არცა ჯარითა, არცა ხაზინითა თჳნიერ სიმხნისა, არა რაჲ აქუნდა პირდაპირი თანასწორებაჲ, მაშინ ფრიადისა ღონის ძიებითა და შრომითა ეძებდა მამულსა თჳსსა მიწა ოქროსა და ვერცხლსა, რომელმანცა იპოვა სომხე-

თის მამულთა შინა, ასტალას, რომელ არს მამულობით თავადთა სომხეთის მელიქისა, მოიყჳანაცა საბერძნეთით ბერძენნი მცოდნენი მადნისა, დამადნობელნი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაობა, ისარგებლა მით ფრიად, ამა ჟამსა და დროსა ამ მადნების მებნისასა ჩამოვიდა თჳთ სულეიმან ფაშა დიდის ჯარით, შემოადგა ქართლის ციხესა ერთი დღე და ერთი ღამე ადგა, მეორეს დღესა მიუტანეს ანბავი, მეფე ირაკლი წამოვიდა შენზედაო, აიყარა და წავიდა ვითარცა მეოტი. იყო მარადის ტყჳევნა ოხრებასა შინა ქართლისასა ავაზაკებრ რამდენსამე წელსა, კჳალად მოუვიდა ამბავი მეფესა ირაკლის დაღისტნის ჯარი შეუყრია პირბუდაყ ბელადსა და ალაზანს გამოვიდაო, ამისთჳს წავიდა მეფე ირაკლი, სამგორის გზა შეუკრა, დახჳდა ღამე და დიდათ დაამარცხა; კჳალად იმყოფებოდა

მეფე ირაკლი თავისის ამალითა ქისიყს, გამოვიდნენ ჭარელნი, გამოუშვეს თარეში, გაუხდა თავისის ამალითა და მდევრითა, ძლიერად დაამარცხა ჭარელნი, ხოლო ესე ვითარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშო იქმნებიან, და ყოველივე ვერა მოვიხსენეთ, ხოლო იგი აღვრიცხეთ, რომელიცა ღირსად ხსოვნისა იყო, მრავალი წვრილი გამარჯვებაები დავიდუმეთ.

# სიტყუა

ოცდა პირუელსა კჳრიაკესა, თქმული ქუთაისის სობორო-ში გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ.

## იგავი მთესვარისათჳს.

იგავი მთესვარისა და თესლისათჳს, თქმული უფლისა-მიერ, და დღეს ჩუენ მოსმენილი, გვასწავლის ჩუენ ძმანო ქრისტიანენო, თუ ვითარი მოქმედება აქუს სწავლასა და ქადაგებასა მოძღუართასა გულსა ზედა მსმენელთასა.

«გამოვიდა მთესვარი თესვად,» ესრეთ იწყო მაცხოვარმან იგავი ესე, «და იყო, ოდეს იგი თესვიდა, რომელნიმე თესლნი დავარდნენ გზასა ზედა და მოვიდეს ფრინუელნი ცისანი და შესჭამეს იგინი» სხუა თესლი დავარდა ადგილსა კლდოვანსა ზედა, სადა იგი არა იყო

სიღრმე მიწისა და თუმცა აღმოვიდა მალე, გარნა ვინაჲდგან ძირი ვერ გაიბა, დასცხრა რა განხმა, რომელნიმე თესლნი იგი; ხოლო რომელნიმე დავარდნენ ადგილსა კეთილსა და აღმოცენდნენ და გამოიღეს ნაყოფი, რომელთამე ასეული, რომელთამე სამოცეული და რომელთამე ოცდა ათეული.

იგავი ესე აღუხსნა თჳთ მაცხოვარმან მოწაფეთა თჳსთა. მთესვარი არის პირ̂ჳელად თჳთ უფალი ჩ̂ჳ̂ნი იესო ქრისტე და მეორედ ყოველი მოძღ̂ჳარი, რომელი ასწავლის და ქადაგებს სიტყ̂ჳასა ღ̂თისასა. თესლი არის სიტყ̂ჳა ღ̂თისა და აგრეთვე ყოველი ჰსწავლა და აზრი, ხოლო სხ̂ჳა და სხ̂ჳა მიწა, რომელსა ზედა დავარდნენ თესლნი მოასწავებენ მრავალ-ფერთა გულთა კაცთათა, რომელნი ისმენენ სიტყ̂ჳასა ღ̂თისასა.

რომელიმე თესლი დავარდა გზასა ზედა და იქმნა შეჭმულ მფრინ̂ჳელთაგან, ესე ნიშნავს გულსა მათ კაცთასა, რომელთა გონებანი და აზრნი ისთე დაფანტულ არიან, ვითარცა გზები პირსა ზედა ქ̂ჳეყნისასა. ესრე ვითარნი კაცნი, თუმცა ისმენენ სწავლასა, გარნა ვერ მიითჳსებენ. მრავალფერი და დაუდგრომელი მათი აზრი და გულის ხმა, უცხო არის ყოვლისა მტკიცისა განზრახჳსა და მოქმედებისა; უსარგებლო არის მათთჳს ყოველი ჰსწავლა: ვინაჲდგან ყოველი ჰაზრი, რომელიც გასჩნდება გულსა შინა მათსა, მალე იქმნება წარტაცებულ სხ̂ჳათა და სხ̂ჳათა უცხოთა შეუსაბამოთა ჰაზრთა და ზრუნვათაგან.

სხ̂ჳა თესლი დავარდა ადგილსა კლდოვანსა ზედა, კლდოვანი ადგილი მოასწავებს გულსა გაქ̂ჳავებულსა ცოდვათაგან; სწავლა და მოძღ̂ჳრება ვერ დაიმორჩილებს ესე ვითარსა გულსა. თუმცაღა მიიღოს მან და ეცადოს აღსრულება მისი, გარნა ვინაჲდგან ჰსწავლა იგი ვერ შესულა სიღრმესა შინა გულისა მისისასა, ვერ გაუბამს

ფესჳ, როდესაც შემთხჳევია მას ჭირი ანუ განსაცდელი, განხმება, ვითარცა თესლი კლდოვანსა ზედა ადგილსა. სხჳა თესლი დავარდა ეკალთა შორის. ეკალნი ნიშნავენ ზრუნჳათა და შფოთთა სოფლისათა. რომელნიმე მსმენელნი, თუმცა სიხარულით მიიღებენ სწავლასა და მოძღჳრებასა და კიდეც სურსთ აღასრულონ, გავლენ რა ტაძრისა ამისგან, შთაეფლებიან მრავალთა ზრუნჳათა და შფოთთა შინა: გული მათი აღივსება უმრავლესის სურვილითა და მოსწრაფებითა და ესრეთ დაივიწყებს კეთილსა სწავლასა და მოძღჳრებასა. ბოლოს, რომელნიმე თესლნი დავარდნენ კეთილსა მიწასა ზედა, აღმოცენდნენ და გამოიღეს ნაყოფი. ესე იგი, რომელნიმე კაცნი, მქონნი კეთილისა გულისა, მორჩილად მიიღებენ სწაჳლასა და მოძღჳრებასა და ასრულებენ მას. ნაყოფი სწავლისა არის თჳთ მოქმედება და კეთილი ყოფაქცევა.

ახლა საყჳარელო ძმაო, მიაქციე ყურადღება შენდამი და განიცადე თავი შენი, რომელსა მიწასა ემსგავსება გული შენი, რომელთა მიწასა და პოხიერსა, რომელი თესლისაგან მისდამი მინდობილისა, გამოიღებს ნაყოფსა მრავალსა? უკეთუ გული შენი ემსგავსება ესე ვითარსა მიწასა, მაშასადამე უმჯობეს ხარაა შენ დღეს, ვიდრე გუშინ და გუშინწინ? უმეტესად გიყჳარსაა შენ დღეს ღმერთი და ძმა შენი? გეძაგებაა შენ ცოდვაჲ, რომელი უფლებდა გულსა შენსა უწინარეს, ანუ გონება და გული შენი ესოდენ დაფანტული არის, რომელ ყოველნი რაც გესმის ეკკლესიასა ამას შინა, ანუ სხჳათა კეთილთა კაცთაგან, სწაჳლა და დარიგება, გავიწყდება მაშინვე, უქმი არის და უსარგებლო შენთჳს? ანუ გული შენი ესოდენ გაქჳავებულ არს ცოდვათამიერ, რომელ კეთილი სწაჳლა ვერ გაიბამს ფესვსა მას შინა? ანუ იქნება ბოროტნი სურვილნი და მიდრეკილებანი შენნი ვიდრე აქამომდე

უფლებენ გულსა შინა შენსა და: ვითარცა ეკალნი გააყრუ-ვებენ ყოველსა სწავლასა და მოძღჳრებასა?

მრავალ ფერად და მრავალთ გზის ითესება გულსა შინა შენსა თესლი იგი სიტყჳსა ღჳთისა ვითარცა ტაძარსა შინა ეგრეთვე გარეშე ტაძრისა ამის. აქ გესმის შენ კითხჳა საღმრთოჲსა წერილისა; გალობა საღმრთო-თა და კეთილშეზავებულთა ლოცჳათა: განიცადე აწ თავი შენი, არისაა რომელიმე ნაყოფი გულსა შინა შენსა? გრ-ძნობაა, რომელსამე ცვლილებასა შინაგანისა შენისა კაცისა-სა? უკეთუ არა, მაშასადამე შეიტყე რომელნი მიზეზნი აუქმებენ თესლთა ამათ, გააპოხიერე გული შენი ლოცჳთა და სიმდაბლითა რათა გამოიღოს მან ნაყოფი.

გარნა მაშინაც ოდეს ხარ შენ გარეშე ტაძრისა ამის სოფელსა შინა ღმერთი არ უტევებს მრავალფერად თე-სოს გულსა შინა. სჳნიდისი შენი მრავალგზის გასწავლის და გამხილებს შენ, უგდე ყოველთჳს ყური სჳნიდისსა შენსა, მიხედე ბუნებასა, მთელი ცა და ქჳყანა და ყოვე-ლი სავსება მისი, ქმნული კელითა უფლისათა, არის მას-წავლებელი და შემაგონებელი შენი, იცან ვითარ ყოველი არსება ბუნებასა შინა მტკიცედ სდგას, და ასრულებს თჳსსა წესსა, რომელი მისცა მას შემოქმედმან; მარტო შენ იქმნები გარდამხტომელი სჯულისა! შენ, რომელი აღგამაღლა ღმერთმან, უმეტეს ყოველთა ქმნილებათა თჳსთა, და მოგცა უმჯობესი სჯული? ეცადე და ნუ გადახდები ღჳთაებრივსა მას ჴსჯულსა, რომელი დაგიდჳა შენ ღმერთმან არა ვითარცა მონასა, არამედ ვითარცა შჳლსა თჳსსა.

ბოლოს, ძმანო ჩემნო საყჳარელნო, მეცა ცოდვილი და უღირსი, ვარ ერთი მთესვართაგანი, რომელი შეძლე-ბისა და ვალისამებრ ჩემისა ვსთესავ თქჳენ შორის სიტყჳასა ღჳთისასა, ხოლო ვინ, ანუ რომელი კაცი,

სთესავს სავანესა ზედა თჳსსა და არა მოელის ნაყოფსა? მეცა ძმანო ჩემნო საყჳარელნო, თუმცა სუსტი ვარ მთესვარი, გარნა მადლითა ღჳთისათა. ვესავ ნაყოფისა ხილვად, ვინაჲდგან არა ჩემსა ვსთესავ, არამედ ბძანებითა. სიტყჳსა ღჳთისასა, არისაა ნაყოფი? ესე უწყი შენ მაცხოვარო ჩემო! მე მხოლოდ მახსოვს თქმული წმინდისა მოციქულისა შენისა პავლესაგან: არცა დამსხმელი ანუ მთესვარი არს რაჲმე, არცა მომრწყუმელი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი. შენ ხარ ღმერთო გამომცემელი ყოვლისა კეთილისა ნაყოფისა, შენზე არს დამოკიდებული, რათა სიტყჳამან ჩემმან სუსტმან გამოიღოს ნაყოფი; გევედრები: ნუ დამიკარგავ მეცა ნაყოფსა შრომისა და სიყჳარულისა ჩემისასა! შენ უწყი, თუ ვითარითა ერთგულებითა ვემსახურები მე სიტყჳასა შენსა და მსურს მოქცევა და სულიერი წარმატება ერისა ამის შენისა. გაახარე ერთგულნი შენნი ხილვითა ნაყოფისათა შორის ერისა ამის შენისა, თჳთ საღმრთო მადლი შენი იყოს მომრწყუჳელ გულისა მსმენელთა. ამან განამტკიცოს გულნი და გონებანი დაფანტულნი, მან დაალბოს კლდოვანნი, ეკალნი შეამშთოს და ყოველნი განაპოხიეროს მიღებად თესლისა და გამოცემად ნაყოფისა მრავლისა. ამინ.

# სიყრმე შექსპირისა.

## ა. სახლი სტრატფორდში.

(ნათარგმნი.)

დასაწყისსა შინა ივლისის თჳსასა, ერთს სიცხიანს დღეში, კენილვორტის არემარეში იყო რაღაც უჩვეულო მოძრაობა. დიდნი დღესასწაულნი, განმზადებულნი ლორდის ლეისტერისაგან ანგლიის კოროლევა ელისაბედისათჳს, განაღჳძებდენ ყოველს კაცში გამომიების მოყვარებასა, დიდნი და პატარანი, კაცნი და ქალნი, ყოველნი ემზადე-

ბოდნენ სამგზავროთ, ვინ ქუეითათ, ვინ ცხენით ანუ ეკიპაჟით იმ ბედნიერის ადგილისაკენ, სადაც მათ მიელოდათ დიდებულნი დღესასწაულნი და მხიარულებანი. მხოლოდ ერთი სახლი სტრატფორდში არას ფიქრობდა იმ დღესასწაულებზედ და იყო თავისთჳს მოსუენებული. დაღვრემილი სახიათი იმა სახლის პატრონისა, რომელიც ყოველსავე ზედა მიუგებდა მოკლეს სიტყუებით ის აშინებდა მის ცოლსა, რომ ყოველს დღიურს საქმეზედაც ლაპარაკი იყო ხოლმე ცოლქმარში, ვითარცა განდეგილთა შორის.

შეხედვა იმ დაღვრემილის კაცისა, რომელიც ნიადაგ უჯდა თავის სავაჭრო საანგარიშო წიგნებსა, შეიქმებოდა ხოლმე უფრო მოჭმუხვნილი, როდესაც იგი სთვლიდა ფულსა, რომელიც მას უნდა შემოსვლოდა, და ხედავდა, რომ ის შესავალი ნაკლები იყო გასავალზედ ანუ მის ვალებზედ. ცოლი

მისი იმ დროს იჯდა ფანჯარასთან, რომელსაც იგი გააღებდა ხოლმე ხშირათ. ახლის ჰაერის შესაშჳჱბათ დაბალს ოთახში, და წამ და უწუმ უკრავდა თავსა მათ, რომელნიც მახლობლათ იმ ფანჯრებისა მიდიოდნენ კენილვორტის დღესასწაულზედ სიცილით და სიმღერით.

«ვაჭრობა მატყლით, უცეფ წამოიძახა ვაჭარმა, ითხოვს ბევრს შრომას და ზრუნვას. მე ჩემიც ბევრი მაქჳს საქმე; მე არა მცალიან იმისთჳს; სხჳჱბი უფრო თავისუფალნი არიან ჩემზედ!»

ვინ არის მაგ ქუჩაში რომ აგრე უჯრის? ჰკითხა მან ბოლოს ცოლსა.

ეს არის ჩჳჱნი მეზობელი ტომას ნეტავე, მიუგო ცოლმა ალერსიანის ხმით, მრიელ მხიარული კაცი და ცხოვრების გემოს მცოდნე.

სულელია! მიუგო ქმარმა გაჯავრებით, უბედობა მრიელ უყჳარს ყველასთან და თუ

კაცმა საფუძვლიანი რამე ჰკითხა, ხმას ვერ ამოაღებინებს!

იმ დროს მისი უფროსი ვაჟი, თორმეტის წლის ვილიამი, რომელსაც ჴელში ეჭირა წიგნი, კრთოლვით შემოვიდა და დაჯდა კუნჭულში.

შენ რაღა გინდა? ჰკითხა მამამ.

ჩემი დები ისე რიგათ ჰყჳრიან ზევით რომ არ დამაცალეს ერთი ჰაზრი დამეხსომებინა, მიუგო შჳლმა.

ჰაზრი განამეორა მამამ: მართლათ ეცადე ჰაზრების დახსომებას: ისინი მრიელ საჭირო არიან შენთჳს; ჯერ აქამდინ მალიან ცოტა შეგიძენია შენ იგინი.

ამას შეუდგა გრძელი მდუმარება: მამა სთვლიდა, შჳლი ჩუმათ კითხულობდა, ხოლო, თვალნი დედისა განუსაზღჳრელის გამოსატყულებით და სიყჳარულით განისვენებენ თორმეტის წლის ყრმის სახეზედ, რომლისაც სურვილის გამოცხადება მას

ვერ ემლო ქმრის წინაშე.

ხან და ხან თჳსის შავის თვალებით ვილიამ გარდახედამდა ხოლმე დედას, და მით თითქო ჰკითხამდა, თუ რას ფიქრობს იგი მისს სურვილზედ; მაგრამ დედა გაუქნევდა ხოლმე უარის ყოფის თავსა, და მით აჩუწნებდა საყუარელს შჳლს, რომ ჯერ არ იყო დრო რათა დაეწყო თავის ქმართან ლაპარაკი მნელს სათხოვარზედ.

შემოდით! დაიძახა მამამ გაჯავრებით, რა ყჳრილი და რახარუხია მაგ ქუჩაში.

გამარჯობა საყუარელო შეკსპირ, უთხრა ემაწჳლმა კაცმა, რომელიც იმ დროს შემოვიდა მის ოთახში.

იგი იყო ის ტომას ნეტაჲე, რომელმაც გაიარა ფანჯრის მახლობლათ მაღლის სიმღერით.

ხომ არას გიშლით? ჰკითხა მან შეკსპირს.

არა, მიუგო უკმაყოფილობით შეკსპირმა, და გაუშვა კიდეც ანგარიშები.—მე მეგონა

შენ ეხლა გზაში იყავ.

ჩემი და ჯერ ტანთ იცუამს, მიუგო ტომასმა; ხომ იცი ქალების ანბავი. თქუჱნ რაღას აპირებთ? მაგრამ ვიცი თქუჱნ არ გიყუართ უბრალო მგზავრობა, ამ გუარს მგზავრობას თქუჱნ ყოველთჳს უსარგებლოს უმასით, მართალია თუ არა? საქმეც რომ არა მქონდეს რამე მაინც იქ არ წავი-დოდი მიუგო შეკსპირმა; მე მივალ ხვალ სხუაგან და დავბრუნდები იქიდამ ოთხის დღის შემდგომ.

ეგ უკეთესი უთხრა ნეტავემ, მაშ ნება მოგვეცით წავიყუანოთ თქუჱნი შჳლი; დარ-წმუნებული იყავით, რომ ჩუჱნ იმას გაუ-ფრთხილდებით როგორც საკუთარს შჳლს.

რასაკჳრველია! დედა მაგისაცკიჩ უნდა რომ მე ეგ გაუშუა, მაგრამ შემცდარია; უნდა გითხრა, რომ ეგ ბავშვი არაფერსა სწავლობს თითქმის კლასის გაკუჱთილებსაც არას ამზადებს და ივსებს თავის პატარა თავსა

რაღაც უბრალო რომანებით (მოგონილი მოთხრობა.)

ბავშვები ხომ ერთის კვრით დათხოვნილნი არიან, უთხრა ტომასმა.

სულ ერთია მაინც არ გამოუშვებ.

დედამ ამოიოხრა და ადგა; ტომასმა მოჰკიდა შეკსპირს ხელი და უთხრა:

საყვარელო მეგობარო, გამიგონე, რა გითხრა: განვლიან მთელი საუკუნენი და ჩვენ აღარ მოგვიბრუნდება ის დღესასწაული, რომელიც ეხლა ჩვენ მიგველის. მომზადებანი დიდის ლორდისა აღემატებიან ყოველს აღწერას. იქ ჩვენ უთუოთ ვნახამთ რგვალს სტოლს კოროლის არტურისას და სხვას მრავალს რასმეს.

ამ დროს ყმაწვილმა, მშვენიერმა თვრამეტის წლის ქალწულმა, შეიხედა მცირედ გაღებულს კარებში და ტურფის მღვიმვარებით ჰკითხა: ნებას მომცემთ შემოსვლისას?

შემოდი ჟენნი, მიუგო ტომასმა და მო-

მესმარე შევაგონოთ რამე ჩვენს მჳდლს მეგობარს; ეს არ უშვებს ჩვენთან თავის ვილიამსა.

მშვენიერი ტურფა და ტანადი ქალწული შემოვიდა ოთახში, და დაადო რა მხიარულათ თავისი თეთრი მსუქანი ხელი სახლის პატრონს მხარზედ, უთხრა მას:

როდის გნახამ მე შენ წარბ გახსნილს?

ცელქო! უთხრა მას მცირედ გამხიარულებულმა შეკსპირმა: გინდა რომ ხუმრობებით და ალერსით დამითანხმოთ თქვენს სურვილზედ, მაგრამ შემცდარი ხართ. ჩემი ვილიამი მალიან მცირედს პატივს სცემს იმას რაცკი არის საფუძვლიანი და სასარგებლო. მე ხშირად ვხედავ, რომ ის ზეპირათ სწავლობს რაღაც ლექსებს და დადის რა ბალკონზედ კარანასობს თავის ლექსებს რაცკი შეუძლიან იმ ხმით. გთხოვთ თავი დამანებოთ. მხოლოდ ერთი ის ფიქრი, რომ ჩემი შვლი სწავლობს ვიღაც

ჰანსა, სატიროს, ანუ მერკურის, მიმეყჳანს სამინელებაში.

ერთი რამ არ მესმის, განაგრძო მან, რომ არიან მშობელნი ქრისტიანენი, რომელნიც ნებას აძლევენ თავის შვილებს იმათ სწავლას.

ამ სიტყჳაზედ ვილიამი გაწითლდა და შესცქეროდა მამას რაღაც ნაირათ, და გადიურიდა უკან თჳსს ქერა ხუჭუჭსა.

არა შჳლო, განაგრძო მამამ, მე კარგათ ვიცი, რომ შენ არ მიაწევ ამ სისულელემდის; მე გზრდი შენ ძრიელ კარგათ და შენ არ უნდა შეხჳდე იმ სისულელეში.

ამიტომაც გთხოვ, საყჳარელო მამავ, მიუგო სასიამოვნოს ხმით ვილიამმა, რომ გამიშჳა ვნახო დიდი დღესასწაული; მერე უფრო ბეჯითი ვიქნები სწავლაზედ. ბიძა ჩჳენი სტრენჩიც თავის ცოლით და დით მოდიან, დაუმატა ჟენნიმ; ისინი ჩჳენ გვიგდებენ ყველას ყურსა.

ოჰ, თქჳჱნ ბაშჳჱბო, ცელქებო! უთხრა სიცილით შეკსჳირმა! მერე მიუბრუნდა ვილიამსა და უთხრა: შენ ისეთი სუსტი ხ რ, რომ უთოვოთ ვერ მიხდევ მაგათ და უკან დარჩები.

ეგენიც ნელა წავლენ, უთხრა მაშინ ცოლმა, და მით შეურიგდა იგი ვილიამის შუამდგომელთა; მეორეც ესე განაგრძო ცოლმა, ვილიამ ისე სუსტი არ არის, როგორც სჩანს, ხომ გინახამთ რა რიგათ დარბის და დასტის ხოლმე ეგ ქუჩებში, თუმცა ეს მოხდება ხოლმე მრიელ იშჯათად.

მაშინ ქენნი მოეხჯა და დაჰკოცნა ლამაზი ბავშჳ ვილიამი. უჟალო შეკსჳირ, უთხრა მან: თქჳჱნ იცით თუ არა, რომ ვილიამი ჩემი დანიშნულია? რომ ეგ მეც იმდენათ მეკუთვნის, რამდენათაც თქჳჱნ? ჩჳჱნ დიდი ხანია დავინიშნეთ; და თუ მე წავალ კენილვორტში, უთუოთ ეგეც ვალდებულია წამამეჳჱს, რომ, როგორც თავის

დანიშნულს ყური მიუგდოს.

თავი დამანებე, ეუბნებოდა ვილიამ გაწითლებული სირცხვილისაგან ქენნის. ხომ იცი კარგათ, მე მაგისთანა ხუმრობა არ მიყვარს. მე ჯერ პატარა ვარ, და როდესაც ჩემი ცოლის შერთვს დრო მოვა მაშინ შენ ჩემოდენა შვლები გეყოლება.

შეხედე როგორი ავია, ჰკსთქვა ქენნიმ, ვითომც გაჯავრებულმა, და სცემდა რა მხარზედ. რას ებედოვ შვლებზედ? მე უთოვოთ დავიცდი მინამ გაიზდებოდე შენ ტანით და ჭკუით და სხვა ქმარს არაოდეს არ შევირთამ შენს მეტს.

და ერთი კიდევ აკოცა ვილიამს, თუმცალა იგი მრიელ ეწინააღმდეგებოდა ამაზედ.

ასე, საყვარელო მეგობარო, განაგრძობდა იგი ალერსიანის ხმით: შენ ნახამ თუ მე შენი ცოლი არ ვიქნები; მე ვეცდები არ დავბერდე იმ დროსთვს, როდესაც წავალთ ერთად ეკკლესიაში ჯვარის დასაწერათ;

ღირსეული, ღრმა მაზრე უფალი შეკსპირი მამა შენი შეიქნება მაშინ ჩემი მამამთილი და იქნება ჩუჱნი წინამძღომი ყოველს ჩუჱნ ცხოვრებაში. მართლა, იცით როგორი გასაკვირვალი სიზმარი ნახა წრეულ გაზაფხულზედ ვილლიამმა, უთხრა ჟენნიმ შეკსპირს, ის სიზმარი გვიანბო ჩუჱნ მხოლოდ ორთავ: მე და თავის დედას.

სიზმარი? ჰკითხა შეკსპირსა, კარგი აბა ვნახოთ რა სიზმარი იყო.

მან ნახა სიზმარში, განაგრძო ჟენნიმ რომ ვითომც მას ეყიდნა ის დიდი სახლი, რომელიც სდგას ეკკლესიის პირდაპირ; და მოეწყო იგი მას მდიდრულის მებილით და მჯრფასის ფარდებით. ვითომც თქუჱნც გადმოსულიყავით მაშინ ჩუჱნთან საცხოვრებელად; ვითომც მაშინ თქუჱნი აზნაურობაც კელახლად იყო დამტკიცებული და ვილიამმა უბძანა ვითომც ამოჭრა ჭიშკარზედ თქუჱნის ღერბისა; სახლი შეიქმნა

ისე დიდი, მშუენიერი და ჩინებული, რომ როდესაც კოროლევა მობძანდა სტრაფორდში თქუენ სანახავად, ვერსად ვერ ჰპოვა უკე-თესი ბინა, როგორც თქუენი და დაჰყო-მან იმ სახლში რამდენიმე დღე. 1) ხედავთ როგორი კარგი სიზმრები ესიზრმება ჩემს ბავშუსა, სთქუა შეკსპირმა სიცილით.

კარგი, სთქუა ბოლოს, მე თანახმა ვარ წამოვიდეს თქუენთან ვილიამი, რადგანაც არც გუშინ და არც დღეს არ უქმაკნია; ჯილდოთ მათსა მე ნება მიმიცია მისთჳს თქუენთან წამოსვლისა.

ეს სტუმრებს დიდათ იამათ. ვილიამს მოუვიდა სიხარულით ცრემლი და მივიდა კუნჭულში, რომ იქ მოეწმინდა ცრემლები

(1) მართლათ ახდა ეს სიზმარიც, ასე რომ სწორეთ დღითი დღე შედიოდა ყმაწჳლი შეკსპირი დიდებაში და პატივისცემაში, რომელიც შემდგომში შეიქმნა ერთი უპირუელესი, ჭკუიანი. დიდ კაცთაგანი ანგლიაში. და ის ბავშური ხუმრობაც გამართლდა, რომლითაც მას ხშირათ აჯავრებდა ჟენნი მით. რომ ნამდჳლათ შეკსპირმა შეირთო იგი შემდგომში ცოლათ.

თჳალებიდამ.

გმადლობ საყუარელო მამავ, უთხრა ბოლოს ვილიამმა თავის მშობელს, თქუჱნ მრიელ მოწყალე ხართ ჩემი.

შენ ღირსი ხარ მაგისი შჳლო, უთხრა, აი, აბა ერთი ნახეთ ის წიგნი, რომელსაც დაუსვენებლივ ზეპირათ სწავლობს დღე და და ღამე ეს ბავშვი.

აქ ყველანი დაჩუმდნენ; ისკი ატრიალე-ბდა წიგნსა, შლიდა ფურცლებსა, და უცებ დააგდო რა ჰოლზედ, დაუწყო ქელა ფეხით და იძახდა ცივის ხმით:

არა, სრულებით არ ვარგა ეს ბავშვი, მსწავლებელნიც უჩივიან ამას. ვინმე ამისი ამხანაგები სწავლობენ, ეს თურმე გავა, დადგება ხიდზედ და იყურება წყალში. ყურს თურმე უგდებს უბრალო ზღაპრებსა და თითონაც ბროდამს რაღაცებს. და მი-ზეზი ამის წახდენისა ვინ არის? დედა და ის, ვინც მას თავის დანიშნულს უძახის

მე მეგონა, რომ ეს წიგნი არის ღრამმატიკა ანუ თუ სხვისი ვისიმე ლათინის მწერლის, მაშინ როდესაც ეს ყოფილა სულელის და უგუნურის გასკონის ლექსები. ეს უკეთური მწერალი ეკუთვნის იმა მუქთა მჭამლების რიცხჳსა, რომელნიც თავიანთს სიცოცხლეს განატარებენ სიცრუესა და ლექსების ჯღაბაში.

ჯერ ის სწერდა რაღაც სისულელეს; მერე დეეთრეოდა გოლლანდიაში... ერთხელ მე წავართჳ ჩემს შჳლს ჴელიდამ ეს დაწყევლილი წიგნი, ახლა აი ისევ ჴელ მეორეთ ვხედავ ამას იმის ჴელში.

ვილიამ, მოდი აქ რა გითხრა, წადი ეხლავ, ადი პატარა ოთახში ზევით: შენ იქ დაკეტილში უნდა იჯდე მანამ მე მოვბრუნდებოდე ბრისტოლიდამ. წაიღე იქა ლათინური წიგნები; დედა შენი მოგიტანს ხოლმე იქ საჭმელს, ამიტომ რომ იმას მეტს ვერც შენს ძმებს ვერც დებსა და ვერც

ყალბს მეგობრებს და დანიშნულებს და შენ ვერვის ნახავ. მანამ მე მოვბრუნდებოდე ლათინური გაკვეთილებით უნდა დაისწავლო უთოვოთ, გესმის? ტყუილათ ევედრებოდენ მას სტუმრები, რათა ეპატიებინა ვილიამისათჳს, ის იყო იმ დროს ულმობელი, ასე რომ თითონ აიყვანა იგი მაღლა ოთახში და გამოიკეტა კარი.

ბ. გაქცევა.

საღამოს, უფალი შეკსპირი წავიდა ქალაქს გარეთ ერთის თავისის მეგობრითურთ სტრატფორდიდან, მეზობლები ჯერ არ წასულიყვნენ და ქენნიმ დაითანახმა ბევრი სტერნჩი დაეცადათ წასვლა: ესრეთ საჭიროთ ეჩვენათ ეს საქმე მას და იმის ძმას, ისინი წავიდნენ ვილიამის დედასთან ამიტომ რომ იმასთან გამოთხოვების დროს მან ანიშნა, რომ ესენი ისევ წასულიყვნენ

იმასთან. იქ შესდგა შინაური რჩევა. შეკ-სპირის განკარგულებამ ვილიამზედ ცოლი მისი მრიელ დააფიქრა თავის შვლს ვი-ლიამზედ. ის სიხარული, რომელსაც უცებ შეუდგა ესრეთი მოულოდებელი შიში: ემუ-ქროდა სიმრთელეს ნაზის ყრმისას, რომელ-საც ვიწროსა და განდევილს თავის სი-ცოცხლეში, არ გამოეცადა ესრეთი მლიერი მწუხარება. დედა მივიდა ჩუმათ იმ ოთა-ხის კართან, სადაც ვილიამ იყო დამწყუდე-ული, და გაიგონა თუ რა რიგათ იგი და-გორამდა ჰოლზედ, სტიროდა მოთქმით, ხან ჯავრობდა და ხან ხმა მაღლა სჩიოდა.

უვალი შეკსპირი გავიდა სახლიდამ იმ დარწმუნებაში, რომ ცელქნი მოგზაურნი ესე იგი ქენნი და მისი მმა იყჳნენ იმ დროს გზაში.

შეკსპირის ცოლს დიდად იამა, როდესაც ნახა ტომასი და მისი და, თავის ოთახში, ტომასმა მისცა ის ჭაზრი, რომ მის ცოლს

არ აღესრულებინა ბძანება განრისხებულის შექსპირისა მით უმეტეს, რომ ჯერ მისცა ნება შჳლს წასვლისა. ჟენნის ჯერ შეეშინდა ამ ჭაზრისა, და მერე ესეც თანახმა შეექმნა და დაუმატა, რომ შექსპირს არ უნდა შეატყობინონ თუ მისი შჳლი გამოუშჳჱს საპყრობილედამ. და ამას სთვლიდა მით უმეტეს შესაძლებელათ, რომ ერთის დღით ადრე შექსპირზედ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ დღესასწაულიდამ.

შექსპირის ცოლმა უთხრა მათ მადლობა იმ რჩევისათჳს, მაგრამ დაუმატა, რომ ძნელია შექსპირის მოტყუებაო, ამიტო რომ თჳთეულს სტრაფორდის მცხოვრებს, რომელიც იქ დეესწრებოდა, შეეძლო ის სიცრუე აეხსნა შექსპირისათჳს.

ეჰ, უთხრა მათ ტომასმა, რას შეწუხებულხართ აგრე? საჭიროა მხოლოდ შექსპირმა ვერა შეიტყოს რა პირჳჱლს დღესა. მეორეს დღეს ჩჳჱნ იმას წავიყჳანოთ კავა-

ლერს ლურისთან, რომელსაც იგი დიდად პატივს სცემს, თქუენ კარგათ იცით თუ რა გავლენა აქუს მას შექსპირზედ. ის მოწუცი ყოველსავე უანბობს თქუენს ქმარს და დაამოწმინებს კიდეცა. და მაშინ ყოველივე დასრულდება მშჳდობიანათ, და თქუენი საყუარელი ვილიამ დასტკბება ერთის მაინც კმაყოფილებით; ექნება სახსოვრათ ერთი დიდი დღესასწაული თავისს ბნელსა და სამწუხარო სიცოცხლეში, და ეს მისცემს მას ახალს ძალას აიტანდეს ხოლმე თავისის სასტიკის მამის რისხუასა.

ავიდნენ ამის შემდგომ ყველანი ვილიამის ოთახში. ფერ მკრთალი და ცრემლიანი ვილიამ იჯდა იმ დროს თავის წიგნებთან.

ხომ კარგათა ხარ? ჰკითხა მას დედამ: მე დანაშაული ვარ მრიელ, საყუარელო დედა, უთხრა მან. მე უნდა ვყოფილვიყავ მამის უფრო მორჩილი და გამგონე. მაგ-

რამ ტყუილადკი გაწყრა მამა ჩემი, აი შე-ხედეთ რა მშჳენიერს წიგნსა ჰქელავდა ის ფეხით. ეს წიგნი ხშირათ შემმენს ნუგეშსა ამიტომ რომ მე მრიელ მიყჳარს ლექსთ მწერალნი.

განა კლასშიაც არ გვაკითხებენ ლექსებსა? მათ არ განადიდეს საბერძნეთი? ეს რა უბედურებაა, რომ მე უნდა ვსწავლობდე მხოლოდ არიფმეტიკას, გრამმატიკას და სჯულებსა, რომ ოდესმე შევიქნე მწერალი სუდისა, ანუ ვიყო მატყლის ვაჭარი. მე აღ-კრძალული მაქჳს დიდს ხიდზედ დგომა და იქიდამ არემარეს მდებიარებით დატკბობა; მე არა მაქჳს ნება დავრბოდე ხოლმე სო-ფელში, როგორც სხჳები, მე ერთხელ არა ვყოფილვარ ბუჩქნარში, მაშინ როდესაც მე ვიზრდები, გადის დრო, და სასწავლებელში მე არა ვარ ყველაზედ არც უკანასკნელი და არც სხჳაზედ სულელი.

მოსჳენებით იყავ სულოჯან, უთხრა

მას ჯენნიმ:—შენ წამოხჳალ უთოვოთ ჩუჱნთან დღესვე საღამოს. დედა გამლევს ამის ნებას; მე და ჩემი ძმა ვიღებთ კისერზედ ყოველს შესაძლო პასუხის გებას შენს მამასთან.

განცჳფრებული ყრმა უყურებდა მას და ხან ყჳთლდებოდა და ხან წითლდებოდა. სიხარულის ცრემლებმა გაიელვეს მის ლამაზ თვალებში, რომელიც მან მსწრაფლ მოიწმინდა.

ბოლოს ჩაეხუტა ჯენნის გულში და ეუბნებოდა: ოჰ ჯენნი! არაოდეს შენ არ ყოფილხარ ჩემს თვალში ისეთი მშუჱნიერი, როგორც ამ წამში. ახლა რამდენიც გინდა მიწოდე შენი დანიშნული, გინდ ქმარი; მე გამლევ პირობას აღარც ერთი აღარა ვიწყინო რა შენგან, აი, მიუშჳრა ლოყა, მაკოცე თუ გინდა კიდევ, მე შენ აღარ გაგიხდები წინააღმდეგი როგორც უწინა ვშვრებოდი ხოლმე.

მაშინ ჟენნიმ მოჰკიდა მას ერთი ჴელი თავზედ, მეორეთი ათამაშებდა მის ხუჭუჭს ქერა თმას და ჰკოცნიდა მას სიხარულით შუბლზე და თვალებში.

ბოლოს დედამ მისცა ვილიამს სხუა და სხუა დარიგება, გამოუკრა სხუა და სხუა პარკები, გაატანა ფული და საგზალი, და ამ სახით გაუდგნენ მოგზაურნი გზასა, მათ უნდა გაევლოთ მახლობელს სოფელში, მოხუცის სტერნჩის და მისის სახლობისათჳს.

## გ. მოგზაურობა.

აი ჩუენი მხიარული მოგზაურები ახლა გზაში არიან. მათ აუჩქარებლათ სალამომდინ მიაწიეს იმ სოფლამდინ, რომელიც მდებარებს სტრატფორდსა და კარვიკის ციხე დარბაზის შორის. საკუთრად მხიარულიყო იმათში ყმაწჳლი შექსპირი.

ხომ კარგათა ხარ? ჰკითხა მას ხშირათ ჟენნიმ.

ოჰ, მიუგებდა ხოლმე იგი; მე ძრიელ კარგათა ვარ. რა სასიხარულო და სასიამოვნო ყოფილა მოშორება სოფლისა და ნახჳა ქალაქებისა და ციხე დარბაზებისა! მე ამას ვერ წარმოვიდგენდი! მაღალის ფანჯრებიდამ ციხე დარბაზისა დაინახეთ თუ არა ჩჳჱნი საყჳარელი ფრონე ევონი? ის წისქჳლი, რომელიც ქვეით ხმიანობს? გესმისთ ჭიკჭიკი მფრინველთა, რომელიც ერთჳს ხეებისა და ღელეების ხმებსა? აქ სცხოვრებდა ოდესმე დიდი და ძლიერი ვერვიკი ხოლო ძჳჱლი გმირი, გეო, წინაპარი ჩინებულთა გრაფებთა, ეს უშიშარი და გამბედავი მამაცი გმირი აქ სცხოვრებდა დიდხანს განდეგილად; იგი სძლევდა დიდ გველაშაპთა, და საწყლის უბრალოს მეჯინიბისაგან იგი შეიქმნა სიძეთ ჩინებულისა და მდიდარისა ღრაფისა. მაგრამ

თჳთ მლიერს ბედნიერებაში მას აწუხებდა სინიდისი; იგი მივიდა აღთქმულს ქუეყანაში. დიდის ხნის განმავლობაში იგი ებრძოდა ქრისტიანეთ მტერთა და ხოცავდა მათ; ბოლოს იგი დაბრუნდა დაღალული, უსახო, ასე რომ ცნობა მისი შეუძლებელი იყო. ბოლოს სარწმუნოება შესმრავს მას, და შედის იგი განდეგილად, უარის მყოფი ამა სოფლისა. ყოველ დღე დადის იგი თჳსს ციხე დარბაზში, და სთხოვს მოწყალებას თჳსს მშუენიერს და კეთილის მყოფს მეუღლეს, იგი გამოელაპარაკება მას სცნობს და შეიქმნება შერყეული თჳსის ქმარის მოთხრობით.

ასე განვლიან მთელნი წელნი. ბოლოს იგი გრძნობს მოახლებას სიკუდილისას, უგზავნის კაცს თავის მეუღლეს, უბრუნებს მას ნიშნობის ბეჭედს, იგი ისწრაფის მასთან და ჰჴვოებს მას უკანასკნელს წამებში.

ეგ მოთხრობა, მრიელ სამწუხაროა,

და სამტირალოა, უთხრეს ყმაწვილს შეკსპირს.

მოგზაურნი ისხდნენ იმ დროს ხეს ქუეშ ჩრდილში დასასვენებლად. ჟენნიმ, რომელიც თავის ლურჯის ლამაზის თვალებით შესცქეროდა შეკსპირს, როდესაც იგი მიუთხრობდა იმ ანბავს, უცევ დაიწყო ხარხარი და უთხრა მან შეკსპირსა: ეგ ყუელა, რაც ვსთქჳ, სულ მოგონილი ზღაპარია და შენ თუმცა ბევრით ჭკუიანი ხარ შენს ამხანაგებზედ, მაგრამ მაინცკი გჯერა ყველა ეგენი.

მე რას დავსდევ მართალია თუ მოგონილი ეს ანბავი, მიუგო შეკსპირმა, მე მხოლოდ ვიცი ისა, რომ სასიამოვნო დასაჯერებელია ესე ყოველივე ჩემთჳს; თუ სულ მართალი არ არის, რაოდენიმე მაინც ურევია მართალი. ეს იყო პირუელი მოთხრობა, რომელიც პირუელად მე მიამბო დედა ჩემმა; მაშინ ვიყავ მე ოთხის თუ ხუთის წლისა და ღმერთმა იცის რამდენი ცრემლი დავღუარე, როდესაც იგი ამას მი-

ანზობდა. ვსტიროდით მაშინ მეც და დედაც, გარდა ამისა გენრიხ მეხუთე მრავალჯერ მოსულა აქ ვითარცა ღუთის მოშიში გან-დევილი სანახავათ ამა გამოქუაბულებთა. რამდენიც ჩუენი მოგზაურნი დაუახლოვდე-ბოდნენ კენილვორტსა, იმდენი სროვა მოგ-ზაურთა მრავლდებოდა, აზნაურნი, ვაჭარნი, უბრალო ხალხნი,ყველა მიემურებოდა კენილ-ვორტისაკენ და იბნეოდა სხუა და სხუა მხარეს.

ზოგი მიაშურებდა სარგებლობისაგამო, ზოგი გამომიების მოყუარებით. მრავალთა გაატარეს ღამე გარეთ ცის ქუეშ, უქონე-ლობის გამო ბინისა, ზოგმა ტყეში. სულ ყუელა ოთახები, და თითქმის ბალკონე-ბიც პატარა ქალაქში იყვნენ წინდა წინ დაჭერილნი; ჩუენი მოგზაურნიც დარჩე-ბოდენ უთოვოთ უბინაოთ, თუ რომ მო-ხუცს სტრენჩს ორის თჳს წინათ არ და-ეჭირა ტყის მცველისაგან რამდენიმე ოთახი,

ქალაქს გარეთ. ზოგნი, დამტკბარნი პირველის დღეებით დღესასწაულისა სიხარულით დაბრუნდებოდნენ სახლში.

სახლეულება ტყის მცველისა და სხვანი იმასთან მცხოვრებნი მოუთხრობდნენ საკვირველებათა პირველის დღეების დღესასწაულთა, კოროლევას და მისის მხლებლების მოგზაურებისას, მშვენიერებაზედ ქალაქების და კაცების ტანთ საცმელისა. იყვნენ წარმოდგენილ ორნი წარმოდგენანი, რომელთაც აღწერა კაცს არ შეეძლო. გამოცხადდებოდნენ ღმერთანი მღვენებით კოროლევასთან. ქალწული ტბისა, წარმოსდგა მისწინ მშვენიერს სადაფში. ყველანი სთხუზვიდნენ და მღერობდნენ ლექსებსა, და კოროლევა მიიღებდა მათ მოწყალებით. იგი ეჩვენებოდა რასმეს ალერსიანს სიტყვას.

მეორეს დღეს ორშაფათს ჩვენი მოგზაურნი ადგნენ დილით გათენებამდის; ღამე

იმ დღისა იყო ძლიერ ცხელი, და თუმცა იყო ღრუბლიანი, მაგრამ ჰაერი მაინც იყო ცხელი.

შეიტყეს, რომ კოროლევას უნდა გაე-ტარებინა სრული დღე ცისე დარბაზის ოთახებში, რომ დაეფარა თავი სიცხისაგან და ამისთჳს ლორდმაც შეაყენა დღესასწა-ულები. საღამოს უნდოდათ ენადირნათ.

ბოლოს ჩუ͠ენი მოგზაურნი წავიდნენ დასასინჯავათ არემარისა, რომელიც ადჳლი არ იყო ამისთჳს, რომ დიდი გზები იყო დაჭერილი და დაგუბებულ ურმებით, მაში-ნებით და სხუ͠ა და სხუ͠ა საგმლებით. იქ მისულნი საყურებლათ, როგორც ქუ͠ეითნი ისე ცხენოსანნი, მოსამსახურენი ლორდე-ბისა, კეთილშობილნი, ყოველნი ერთმანე-რთს ეჯახებოდნენ სივიწროისაგან, უჳრო-დენ ანუ ხარხარობდნენ როგორც ლონდო-ნის ქუჩებში.

უცეფ ერთს გადასახვევს გზაზედ ვილიამ

დაიკარგა, უყურებდენ ყოველს მხარეს, ეძებდენ, უყჳროდენ, მაგრამ უსარგებლოდ! არეულობა და დიდი ხმიანობა ნებას არ აძლევდა მის მძებნელთ იმის კარგათ გამოკითხჳსას.

ტომასი იყო ამით შეწუხებული, და ჟენნი ჩავარდნილი სასოწარკუეთილობაში. მათ არ უნდოდათ დაეგდოთ თავიანთი ადგილი ვინემ იპოვნიდნენ ვილიამსა; მაგრამ ვერა ვითარი ღონე ვერა ჰპოვეს მისის პოვნისა; და მიანდვეს ბოლოს იგი ღმრთის მფარველობას; მაშინ სტრენჩმა გაჯავრებით სთქვა: მე მამამაგა თავი იმ ბავშვის ცელქობამ. ერთსელაც დაგვრჩა ის უკან დი მლივს ვიპოვნეთ, რატომ მეორეთ ფრთხილათ არ იყო. წავიდეთ აქედამ და საღამოს იქნება ყველანი ერთათ შევიყარნეთ ტყის მცველის სახლში.

გ. დიდებულიძე.

(დასასრული იქნება შემდგომ ნუმერში.)

კ. დ. ჩ.

მთიებო სჳჱტო ნათლისა,
გიხილე გულის უფალად,
მშჳჱნიერებამ მონა მქნა,
ტრფიალებას ვგრძნობ მე ვალად.
ნეტარ რამ შეგქმნა უებრო,
ესოდენ ტურფა ქმნულება,
შენსა მიჯნურსა ახლა მრწამს,
ნათლისა ჴელოვანება.
დავიდევ გულსა ბედკრულსა,
მე შენი მშჳჱნიერება,
მას ჩემი გრძობა, გონება,
ეტრფიალება ევლება.
მოშორებითა ტანჯული,
სულსა აღგინთებ სანთელად,

შეგწირავ მსხუერპლად სიცოცხლეს,
და გრძნობას მოსაგონებლად.
მთიებო სუეტო ნათლისა,
გიხილე გულის უფალად,
მშუენიერებამ მონა მქნა,
ტრფიალებას ვგრძნობ მე ვალად!..

თ. ნ. ბ.

---

## ნაპოლეონი.

(თ. ნ. ბარათოვის ლექსებითგან.)

ნაპოლეონმა გარდაავლო თუალი ფრანციას,
და ჰსთქუა:—«აბა ჴელმწიფობამ რა შემიძინა?»
და რა იხილა თჳს დიდების მსხუერპლი თჳს წინა,
პირსა მოღრუბლვილს შუქით რაღაც გარდაეფინა.
«ახლაკი კმარა, ჰსთქუა მან გულში, სურუა ალმიხდა,
სახელი ჩემი გავსახელე ქუეყნის საოცრად,
შევმოსე ძალით საყუარელი ჩემი საშუენად
და დავუმონე გულ-მტკიცენი მას სადიდებლათ.
მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თჳთონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი:
იგი ჩემთა და ჟამისა მე ვარ იმედი!
მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვწყინდე,

და მან ჩემისა სახელითა დაიგვირგვინოს!...
არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
მე მან გამზარდა და თჳსს გაწურთჳნილს რაღა მიხერხოს?
ვერღა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ კელმწიფებდეს
მაინც მე იგი ვერ ვითჳსო, ვერ ჩემოდნობდეს
თჳთონ სამარეც შევიწროოს, თუ ტოლი შეჰანდეს».—
ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვჰსცნათ ჩჳენ მისი,
თჳთონ სიკჳდილიც მას უებროდ აღმოგჳჩინებს:
უქრობი ცეცხლი და ზღჳს ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა—სულსა და ზღჳა გულსა განსაკჳრვებელს?..

**1838** წელსა.

---

(ბარბიეიდგან)

არიან დღენი მძიმენი; კაცს სული სტკივა უწყობს ღონას,
ტჳნსა და დამწჳარსა გულში აუშლის ნაღჳელსა და შხამს.
ცა არის ბნელი გულსახეთქს ხმაზედ წუწუნებს ქარი,
და ზღჳსა ზჳრთნი შშფოთაენი ღელამენ აზჳავებულნი.
ჭჳლავ ღერო ხისა, როგორადც ლეში გამხმარი ტიტჳელი
თრთის გამხმარისვე შტოებით მიწისკენ წამოზნექილი,
და იქა საცალასა, შორს, გულის მწუჳდელი სამარხი,
ზარი ჰკჳნესს, როგორადც ხმაჲ სიკჳდილის მოსწავებელი.
აგერ ვიღასაცა კუბოს მოათრევენ უშნოს ეტლზედ,
კუბოს მოზდევენ მთხოვარნი დრტჳნამენ საზაროს ხმაზედ.
ვერ ჰპოებ სახეს ქუჩაში გმაყოფილს, ნათელსდა უქმსა;
არიან მჭმუნვარნი, სხეულნი, მსხჳერპლნი ტანჯჳსა მწარისა.

და თუ შენ ამა საათში, გწადს შეეფარო მშჳდს სამყოფს
განილტუა და დაივიწყო ყოველი ესე საქმენი
და ისურვო მოსუენება მკერდზედ ერთგულის ქალისა
და იქ წამსა შეშფოთებით დაასცხრო ტანჯული გული,
იქაც, იმ ტკბილსა სამყოფსა, სად ქმლევი თბილს ხუტ-
ვნასა,
სად ხოლოდ გესმის ალერსით სუნთქმაჲ სიყუარულისა,
რაღაცა დუმილი სული იჭჳსა, შეჩუენებისა
ღუარძლის კისკისით დაგიფრთხობს ტკბილსა წამის ოცნე-
ბასა,
და საყუარელსა სახეში, სიცოცხლით, ყინით სავსეში,
ელვარებაში ჩჳლთ ლოყათ, სავსეს ტრფობითა თვალებში,
გიჩუენებს გაცივებულს მკუდარს სამარეში ხამდებარსა
და წარმოგიდგენს გამხმარს თავს დაშლილთ ძუალთაგან
მკუდარისა,

ა. ფურცელაძე,

**1861** წელსა. დეკემბრის **17** დღეს.

---

კნ. ნ. ჩ.

როგორც თვალად, სიტურფითა,
სახელითაც ეგრეთ ბრწყინავ;
დღეს დღეობის წოდებითა,
მოგილოცავ ჩემო ნინავ!

ამ მცირედის ქაღალდითა,
მსურს მოგიძღუნა დაო გული,
ამაო ნივთთ, ალმასითა
არ იქნების სიყუარულთ!

რომ მოგიძღუნა ბრილიანტი
არადა სჩანს შენს თჳსებას,
შენის გულის ანდამატი
იზიდავს ჩემს ერთგულებას!

არ ვინანებ, რომე მსხუერპლად
შემოგწირო თავი ჩემი,
ამად, რომელ მამევს ვალად
რადგანცა ვარ მეგობარი!

და ყოველთჳს გულ მხურვალედ
ვევედრები წმინდა ნინას,
ტკბილ წამისა ოცნებელად
არ ჴჳოს შენსა ბედის წერას!

ეგ ვარსკულავი ბედნიერი,
გინათებდეს ცხოვრების გზას,
ნორჩნი შჳლნი მშუენიერნი
მრავალ წელსა გევლოდენ გარს!

პატარას შენს კუპიდონსა,
ვის ბულბული დაგალობებს,
საუკუნოდ მათს გჳრგჳნსა
კურთხევითა შებეჭუ̂დიდეს!
იყავ, იყავ ბედნიერი!
გარდაშლილ ვარდებრ ჭყუ̂აოდე.
შეგნატრიდეს თჳთვე მხუ̂წდრი,
სულით, გულით დაგხაროდე!
მაგრამ მაცთურს ამ სოფელსა
ნუ ენდობი, დღეს ხუ̂ალობით,
დღეს შეექმ დღეის ლხინსა,
არის ჩრდილებრ წარმავალი.
ნუთუ მალა ბუნებისა,
არად შესცვლის სიჭაბუკეს;
ნუთუ გული მოხუცისა,
მიეცემის ლხინსა ფხიზელს,

ქ. ბარ. ჯორჯაძისა.

1862 წ. იანვრის 14.

## დღეობა.

გარიჟრაჟია, დილა ლამაზი,
ცხენს მიაქროლებს უცნობი ვაჟი,
ლამაზ. ტანადი, კარგათ მორთული,
დამბაჩა წელში, ხმალი ქართული!
ის ეუბნება თავის ლურჯასა:
გასწიე ჩქარა ამ შარა გზასა,
და მიმიყჳანე ჩემს სალოცავსა,
აგერ ახლოს არს წმინდა ტაძარი
გვერდს ჩამოურბის მდინარე მტკჳარი!
რა დაუჩოქებ მაცხოვრის ხატსა,
ვეამბორები წმინდასა კჳართსა.
მისგან მივიღებ დიდსა ნუგეშსა,
მისგან მოველი დიდს წყალობასა!
გასწიე ლურჯავ! იქ მიმიყჳანე--
სად არს ცხებულთა მეფეთ სავანე;
სად განისჳენებს მათ ნეტართ გჳამი,
მე მიყჳარს მეტათ იგი ტაძარი!

აი! მივედი წირვისა ჟამსა-
და ვეამბორე წმინდას ტაძარსა,
გულით და სულით ვიკმაყოფილე
მღუ̂დელ მთაუ̂რის წირვა როს მოვისმინე!
მარჯუ̂ნივ და მარცხნივ, დავსცქერდი ქუ̂ათა-
სად გუ̂ამი სუფევს ქართუ̂ელთ მეფეთა.
ჰეი! ლოდო! განა ღირს ხარ აწ შენა
ჰფლობდე-
მეფეთ საფლავებს შენ ჰბატონობდე?..

გამოვედ გარე, ვნახე ყრილობა,
ჩოჩქოლი იყო, რაღაც ცილობა!
საღმრთო დაეკლა შორით მომსვლელსა
ევედრებოდა იგი ხუცესსა:

აი! მამაო ეს შენი წილი,
აქ მოვიყუ̂ანე მე ჩემი შჳლი,
ამისთჳს მქონდა საღმრთო შეთქმული,
და საწირავად მცირედი ფული,
რას დროს ეს ღმერთმა ჩემთჳს ინება,
აღარ მომეცა გულის ლხინება,
სულ ავათა მყავს ჰაწია თედო,

ღმერთო ულხინე, ჩემო იმედო!
რა მოვიყჳანე ამის ტაძარსა,
ამის წინაშე და ამის კარსა,
გმადლობ უფალო! იმავე წამსა,
ღიმილითი მითხრა: ჰო მამავ, ხჳალა-
მომარჩენს ფუფალა?
ჰო შჳლო კარგათ იქნები-
შენს სნეულებას მალე მორჩები.
მომირჩა მართლა პაწია ბიჭი,
ჩემი ნუგეში და ჩემი გვრიტი,
მთლად გალავანი შამოვატარე
ბევრის ცრემლითა მიწა გავბანე.
ღმერთო მართალო, დიდხარ უფალო,
ჩემებრ ცოდჳლი, რომ შეიწყალო;
რადგანც ეს ბიჭი შენ მომირჩინე
და ეს წყალობა აღმომიჩინე,
აღთქმასა დავსდებ ყოველსა წელსა
შენ მოგართმევდე ამ დროს საღმრთოსა!
მარამ ხუცესი მას უჯავრდება,
. . . . . . . . . . . . . . . .

რა ვქნა მამაო! სისაწყლისგამო,
ლუკმა არა მაქჳს ცოლშვილს ვაჭამო,
ერთი წელია ტყეში ტარებით,
პატარა ურმით, უღლის ხარებით,
არც ჯანი შამრჩა და არცა ღონე
და ბევრის ფიქრით წამერთო გონე,
რაც ჩემის ოფლით შეშა გავჰყიდე,
აი, ეს საღმრთო იმით ვიყიდე!..

. . . . . . . . . . . . . . . . . .

აწ გადაჰხედეთ ახლა თქჳენ მტკჳარსა
და ჰნახავთ აქა კარგსა ანბავსა:
მოცურავს ტივი, ხალხი მრავალი,
მასზედა სხედან კაცი და ქალი!
რუსი, ქართჳელი, სომეხი ყჳელა,
ზოგი პერანგა, ზოგი შიშველა;
ხუფრა უშლიათ, აქჳსთ კარგი ლხინი,
ოჰ! რა ყიჟინა, ოჰ, რა სიცილი!
ერთი თარს უკრავს, მეორე ზურნას,
მესამე წყალში სტომით მოცურავს
და თანავე ანბობს ლამაზ სიმღერას!

ოჰ! რა სუფრაა, ოჰ! რა ლხინია-
იქვე დაიწყეს მათ ლეკურია!
ერთს თავზე ედგა სავსე საღვინე-
ბიჭო! აავსე გარდმოადინე:
ასე ეძახდა ის ამხანაგსა-
ყველა უჭვრეტდა ამა ამბავსა.
გამოღმით კაცი, მათ გასძახოდა,
ფერი მიჰხდოდა, შიშითა თრთოდა,
ოჰ! უკეთურნო დაიღუპებით.
აბა რასა ჰგავს, აბა რას ჰშურებით!
იქიდგან ასე გამოსძახოდნენ,
თან თავის თარზე ზედ დასძახოდნენ:
მადლი და მალი იმა ტაძრისა-
გვიხსნის ჩუენ ჭირსა და განსაცდელსა,
ჩუენ იმედი გვაქუს წმინდა კუართისა,
ვაქებთ, ვადიდებთ სვეტი ცხოველსა!!!.

დიმ. ბერიევი.

ოკტომბრის 1-სა. 1861 წელსა.

## უფალო რედაკტორო!

ოთხის დღის წინათ ქუთაისშიდ ერთი პატივცემული მოხუცის სახლშიდ შეველი, იქ მისმა ნიჭიერმა მეუღლემ და იმის უნიჭიერესმა ძმისწულმა ყმაწჳლმა ქალმა თქუენს რომ განვლილის წლის «ცისკარში» კაცს აღარ ჩაეხედე-ბოდა და წელს ამისთჳს აღარ ვაწერთ ჴელსაო, და საწუ-ხარია ჩუენთჳს, რომ ჩუენი სამშობლო ენა ლამის და-ეცესო, ვიღაც ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კასელს ჯორჯაძის კნეინას, შეუსაბამოს სიტყუებით იხ-სენიებს, რისთჳს? სიმართლისათჳს და მშუენიერის ლექ-სების წერისათჳს? რომლითაც გაბედჳთ შემიძლიან ვსთქუა, სასმენელს ატკბობდნენ და გულს ალხენდნენ, თუკი მას გააჩნია ვინმე ქალი უკეთესი მწერალი, ეს დიდათ ძჳრ-ფასი იქნებოდა ჩუენის ენისათჳს რომ კიდევ სხუა ქალ-საც გამოეჩინა თავისის თხზულებით ნიჭიერება, რო-გორც ჯორჯაძისამ, თუ არა და, რათ უკრძალამს და იხსენიებს ასე. თუმცაკი ისიც საკმაოდ აძლევდა პასუხს, მაგრამ, რათა? ჩუენი მშუენიერი ენა, რათ უნდა შეიცვა-ლოს უშუერ სიტყჳერებათ. მართებული ხალხი რომელიც უმეტესად მიზდევს ზდილობასა «ცისკარს» რისისათჳს დაიბარებს,თუკი ლანძღჳს მეტს ვერასა ნახავს, იმ ენით შედგენილს სტატიებზედ ვინ მოსცდება რომ წაიკითხოს.

ესეც შევიტყეთ ჭორათ ქუთაისშიდ, რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებდეს მეორეს ჟურნალის გამოცემას, უეჭველია ის ჟურნალიც ისე ახალის ენისა იქნება, რა ენისათჳსაც გამობძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს კალის მომწერს ჰპოვებს. იმ ენით ლაპარაკს ჩვენი საზოგადოება დიდათ შორავს. დამერწმუნოს, ჩვენი ჟურნალიც ამ ზემოთქმულის მიზეზისაგამო დაეცემა. ყოველს მამულის შვილს უნდა მიაჩნდეს დიდათ სამწუხაროდ, და თჳთონ მე საუკუნის მეორე ნახევარის ასაკსა შინა მყოფს კაცს, მეხივით მეცემა და სისხლს მირევს.

ერთიღა ოდენ «ცისკარი» დარჩენილა იმედად, რომ ჩვენი ქართული ენა არ დაიკარგოს და ადრინდელნი მჭევრ მეტყველობა და მშვენიერ ლექსთ წყობილება აქა იქ მაინც სადმე გამოსჩნდნენ, და მე თუმც ამ აღსადგენად შემწეობის ღონე და თჳთ «ცისკრის» კითხჳს არა მქონან, მაგრამ, ვითარცა მამულის მოყვარულს კაცს სულითა და გულითა მსურს მისი წარმატება.

ამ გარემოებით გულ-აღზნებულმა სახლის პატრონს გამოვსთხოვე ივნისის ჟურნალი და იმან ივლისისაც თან მოაყოლა.

დავიწყე კითხვა კნიაზი ილია ჭავჭავაძის თხზულებისა და მის წაკითხვას მოვანდომე სამი დღის ჩემი თავისუფალი დრო, თუმცა შემდგომს ბევრი ვინანე.

მისთჳს, რომ კარგი და კარგი ნასწავლი, წარჩინებული მამულის შვილი ყმაწვილი, იმოდენ ლაპარაკობს ქალზედ, რომ წამკითხველს კითხვის სურვილი დაუკარგა, ნეტარ იმის სიტყვები მაინც დაერიდა, ესკი ძალიან მიამა რომ იქავ შემხვდა სარდიონ ალექსიევ-მესხიევის ანტიკრიტიკა და გულზედ სევდამ მიმრიდა. ოჰ! რა კარგი არის ბუნებითი და ჩამამავლობითი ნიჭი!

თუ სარდიონ, წამლების კეთებაში, ამისთანას ნიჭიერებას გამოაჩენს, თავისუფალ დროს უნამეტნავეს შესნიშნავი არ იქნება?

მწუხარე სიდგანაც არ მოელის იქიდგან მხიარული იქმნების. ამას მოქმედებს განგება და საკვრველ არიან საქმენი მისნი!

ამ ახტიკრიტიკაზედ გული გადამიყვა, მაგრამ მაინც კნიაზი ჭა ვჭავაძის შესახებად მეც უნდა ვილაპარაკო — მართლად ახლა გაუკვრდება და იტყჳს. რომ «ყნიანს და უენოს ჩემმა თხზულებამ ხმა ამოაღებინაო,» მაინც აქ გასაკვრვალი არა არისრა. აჲ რასთჳს: როდესაც ხალხში საკნებელი რამ ჩამოვარდება, მაშინ ყველა იმას გამოუდგება და მანამდის ჴსდევენ, სანამ არ განდევნიან და მე მავნებლად ვსთვლი არა კნიაზის ჭავჭავაძის განათლებულ ნიჭიერებას, (ყოვლადვე ნუ იყოფინ) არამედ ნამეტანი ნიჭიერებით ჩუ̂ჱნი კარგი დედა ენის აღდგინების სურვილის დაკარგუ̂ას.

აქ უნდა ვსთქუ̂ა, რომ (სწავლა და ნიჭიერება თუ გამოცდილების დარიჯაკში როგორც ოქრო არ გადადნენ ისე შესაფერ შუქს ვერ მიიღებენ და თუ უფალს ჭავჭავაძეს დასწყდა გული იმაზედ, რომ ქალი თ. ერისთავს გამოესარჩლა, შეეძლო მას ზდილობით ეთქუ̂ა, თქუ̂ჱნი საქმე არ არის მე და ჩემი ამხანაგი მოვრიგდებითო; გარნა ნაცვლად ამისა კნიაზი ჭავცავაძე დასცინის ჯორჯაძის კნეინას უმეცრებით და აქადის თავის მაღალ განათლებას ეგზომ, რომ მკითხუ̂ჱლს თავს აბეზრებს.

კნიაზი ჭავჭავაძე უწუნებს ჯორჯაძის კნეინას მის რომელიმე ახლანდელის მდგომარეობის შესახებელად წერას, **1860** წლის ნოემბრის თუ̂ჱში ჩაწერილს მაშინ, [redacted] დასაბრალო ქალი გულ წყლულად გოდებს ახლანდელის ჩუ̂ჱნის ხასი

თის სიმტკიცისაგან გარდაქცევას. ამის სიმართლე აქჳს თჳთოეულს ჭეშმარიტების მოყჳარეს, რადგან ხასიათის კეთილისაგან ბოროტად ცვლილება აწარმოებს ღჳთის სასოების მოკლებას; ხოლო ამას შეუდგებიან ღჳთის რისხჳსანი. ამის მაგალითის ძებნა სხჳაგან არ გვეჭირება, რადგან ჩჳენი საქართჳელო, ოდესაც შჳლთა მისთა წა-იხდინეს ხასიათი ჰმთავარდა ხელთა შინა ყარაყუმელთა თათართასა და იყო კორთებათა ქჳეშე მათთა უმეტეს ნახევარ საუკუნისა.

კნიაზ ჭავჭავაძე თავის განმარტებაში ამბობს, რომ ვინც იმას აძაგებს, ის უნივერსიტეტსაც აძაგებს, სადაც მე გავზდილვარო (ნამდჳლად გაზდილია თუ არა ისკი ჯერ არ ვიცით) მისი მოქმედება უნივერსიტეტს სრულიად არ შეეხება, რადგან უნივერსიტეტი განანათ-ლებს სწავლით კაცს და კაცი სწავლას, როგორც უნდა ისე მოიხმარს და რომ სრულიად დარწმუნდეს კნიაზი ჭავჭავაძე ამ შემთხჳევაში, უნდა მოვაგონო მას ერთი იმერული არაკი. «შჳლმა უთხრა დედაო: ჩემთჳს დედა არავის შამოუგინებიაო; დედამ მიუგო: ჩემის კარგის ქალობითაო.» ამაზედ შეცილდნენ და შჳლმა იქავ დაუწ-ყო სხჳებს გინება და მათაც გალანძღეს.

**უ.** ჭავჭავაძე კნიაზი ბარათოვის თხზულების გარჩე-ვაშიდ ჰსწუნობს ნეტარ ხსენებულს ანტონი ქათალიკო-ზის სიტყჳერებას.

ოჰ ღმერთო რა მესმის! ქართჳელი კაცის სასმენელი იმდონად როგორ შეიცჳალოს, რომ ანტონ ქათალიკოსის მაღალ-ნიჭიერს სიტყჳაობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ სიტყჳაობას, მის არისტიხულებას და მის იამბიკოებას. ან რა გასაკჳრ-ველია, ვისაც [redacted] მეუდაბნოობა არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმ-

ნულება მოეწონება, მაგრამ დალოცჳლ ჭავჭავაძეს, როგორ არ გაუგონია, რომ ალექსანდრე მაკედონელი ყოველი საჩივარის მოსმენაზედ თითო ყურს დაიხშევდა და იმანაც ცალ ყურში დაიტიოს, თუ უნდა ოლტერის თხზულება და მეორეთი მაინც მოისმინოს დიდი ვასილის ითიკა დამასკელის განმარტება და მერე წაიკითხოს ანტონის უკჳდავი სახელით შემოსული სადღესასწაულო, სადაც სხჳა მრავალთა შორის ნახავს ამ სიტყჳებს:

შენ ხარ ვენახი ახლად აღყჳავებული,
ნორჩი კეთილი, ედემში დანერგული;
ალვა სუნნელი სამოთხეს აღმოსული,
ღმერთმან შეგამკო, ვერვინა გჯობს ქებული,
თავით თჳსით მზე ხარ გაბრწყინვებული.—
დედა ქალწული მშჳენიერი შროშანი,
მას ახარებს ანგელოზი ფრთოსანი,
შენგან იშჳების მეუფე ღმერთი ჩჳენი,
რომელს მონებს მეფე გჳრგჳნოსანი....

კნიაზს ჭავჭავაძეს არ მოსწონს ჩახრუხაძე და არ ვიცი რა გრძნობა დაიწუნებს ამ ჩახრუხაულებს.

ფირუზნი ხასნი, მერცხლად ნასახნი, ციმციმის ელვით
ტროფობისს მასახნი,
მშჳლდნი ნაზიდნი, მწჳედ განაზიდნი, ემხით გულისა
მეის გასაზიდნი,

ფერნი ნაზიდნი, მწუხედ განაზიდნი, ეშხით გულისა
მისის გასაზიდნი,
ნაზნი ქცევანი, მიმოხრევანი, შებნედილს გულზედ სიოდ
ნასახნი.—

რადგან არ მოსწონს მას ენა. მაშ, ჰკითხოს იმ მოლექსე რიტორს, რომელსაც თჳთონ კნიაზი ჭავჭავაძე აქებს და, რომელიც ჭეშმარიტადცა საქებელ არს და თუ იმათაც დაამტკიცონ დარწმუნდეს, რომ მეორე ანტონი საქართუელოშიდ გჳან იშობება და ჩახრუხაძეც არ არის მაგისგან დასწუნი.

ამისთჳს ბოლოში მოითხოვს მაგრიტორმა და სხუებ-თაც მცოდნეთა ანტონის ღირსებაზედ მოლაპარაკეთ, რომ შემდგომ ჩუენთა ჩამომავლობათა, უმეცრებისა გამო ურიგოდ არ ახსენონ მისი სახელი და არ შთაცჳვდნენ ბრალეულობაში პირის პირ ამა არაკისა:

დიბამ უთხრა, სტავრას, სტავრავ ვაი თუ გლეხმა გვი-
შოვნოსო,
უმაკრატლოდ დაგვლიჯნოსო თელის ძაფით აგვჩუთოსო.

ამას მოვახსენებ კნიაზ ჭავჭავაძეს, რომ კნეინა ჯორჯაძისა თავისის მშუენიერის ლექსებით დიდი სასარგებლო მწევრი არის ჩუენის ქართულის ჟურნალისა და ვსთხოვთ რომ თავისი ნიჭი დაცემულის ენის აღსადგინებლად არ მოაკლოს, ხოლო ჭავჭავაძეს თავისებური განათლება თავისს სწავლას. მაგრამ მომიტევეთ, უფალო რედაკტორო, რომ ბევრის ლაპარაკით თავი გაწყინეთ. ბოლოს კიდევ ამას ვიტყჳ, რომ რაც უნდა იყოს ამისთანა პირ მოუკრძალავათ თქმულნი სიტყუანი ჩუენ ენას ვერ აღადგენენ და არც საზოგადო კეთილშობილ აზრს

ეკუთვნის, იმ დალოცვილს თუ სხვა ენების ნათარგმნიდგან სურს ჩვენი ენის გამდიდრება, მაშინ შეიკრიბოს იმისთანა წიგნები რომ მოგვცეს სარგებლობა / როგორც ზოგნი იკომონიურს სწერენ ივნისის ჟურნალში: იოსებ მამაცაშვილი და ივლისისაში ქსტატე მაღალაშვილი და თუ არა, რა მართებულია რუსის მწერლებიდამ იღებს სიტყვებს ქალის საბაასოთ.

ღვთის მადლით ბევრი კარგი გამასწორებლები ყავან ახლა ჩვენ ენას, თუ დაუქებენ; მაგრამ მე მინდა დაუმტკიცო «ცისკრის» მკითხველს ის, რომ ერთი და ორი უმსგავსი და [redacted] მუხლები ჩაიწერონ ჟურნალში, მის [redacted] ყური არ უნდა უგდონ; ამიტომ, რომ თუ ცუდი არ დაიწერება, კარგს არ წარმოაჩენს.

აჲ ამის მაგალითი, თუ როგორ ელვარედ ბრწყინავს სხვათა შორის ივლისას ჟურნალში ალექსანდრე სულხანოვის სიტყვა.

ამ სიტყვამ ისე შემაყვარა ჟურნალი, ვნანობ, რომ «ცისკარი» არ გამომიწერია, / გამოვიწერკი, თუ არ ჩაერთვის ჭავჭავაძის ენის სიტყვერება. /

ეს ჩემი საუბარი ვიცი ზოგთ არ ესიამოვნებათ და მეც გამრევენ თუ ვინმე ინებებს, მისიც არ დამერცხვნება, პირველად მისთვის რომ დარწმუნებით ვიცი მართალს ვლაპარაკობ და ჩემგან არც ეწყინებათ რადგან თეორეტიკა არ მისწავლია და არც დიალექტიკა, რომელიცკნიაზ ჭავჭავაძეს არ მოსწონს.

ზემოური იმერელი, გორისელი წერეთელი ეფთვიმე.

---

## მებუკების რავდენიმე სიტყუა.

ვინ დააგდო ხმა: მებუკები დაიხოცნენო. არა, კიდევ ცოცხალნი გახლავართ, თუმცა ჩუენს სიკუდილზედ თავს არავინ გაიცხელებდა, მაგრამ მაინც თაყუანსა გცემთ ერთობით თქუენ და ჩუენის თავის მოსაგონებლად ამას განვიცხადებთ, მართლა არ გეგონოთ დაიხოცნენო.

ეხლა ეს არის მოგზაურობიდგან გიახლით მებუკეები და დაგვხუდა სხუა და სხუა ანბები, სულ გულის დასას-ნუღლებელნი. ნათქუამია: კარგია კარგი გონებაო. ღმერთმანი ჩუენს გონებასაც არა უჭირსრა, არა, რა ნაკლებულებაა ჩუენს თავში?—გონება სავსე ტჳნით, აგებულობა გამაძღარი კარგის ბვისტიქსით, ტანისამოსი ხომ რაღა? პირუწლი საუკეთესო მაუდები გვაცჳა და რაც შე-გჳძლიან ვეჭელაობთ გამოჩენით, გაითავდა ყოველი ჩუენი საქმე, სხუა რაღა? სხუა აღარა გვინდარა.

მგონია კიდევ დაგვრჩა რაღაებიც? აი ბატონებო. როდესაც დარბაზობად დავსხდებით და ერთმანერთს ბაასობას დაუწყებთ ჩუენის საზოგადოობის სასარგებლოდ, ვანბობთ ვინ იცის რასა და რასა. ავდენს რომ ერთს დიდს ხალვარში არ ჩაეტევა ჩუენი იმდენი სიტყუები თუნდა წესიერად ჩავაწყოთ რიგზედ. მართლა ეს რო მოხდეს და ის ჩუენი სიტყუები, ერთს დიდს ხალვარ-

ში ჩავაწყოთ, ისე წესიერად, როგორაც ვთქვ. მაინც ასე აივსება და ასე გაიტენება, რომ ერთს რომელსამე მხარეს გაგლეჯს და ის იმდენი სიტყუები, რომ გაგლეჯილიდგან გამძვრებიან თჳთეულად და გაგვეპარებიან, სულ ჰაერში.

დაგწყევლოს ღმერთმა ეშმაკო, რას გადაგვეკიდე. კელს არ აიღებ ჩუენზე? ამ ჩუენი ცხვრისაგან რა გინდა, რომ იქ შეგვიჯდები ხოლმე, იქ არის შენი კათედრა. ყოველს ჩუენს საქმეს იქიდგან საქმობ და რაც შეიძლება ყოველს ჩუენს საქმეს გვირევ და უთანხმოებასა სთეს ჩუენში. ამისთანა ჭირი იქნება, იმდენი გაგება არა გუაქვს, რომ ამ ჩუენის ცხვრის კარებთან ვიყარაულოთ და როდესაც ჩუენი ცხვრის ეშმაკი მოდიოდეს ჩუენს ცხვარში შესაჯდომათ ანუ თავის კათედრაზედ დასაჯდომათ, მივწვდეთ და თავი მოვგლიჯოთ შეჩუენებულს. ამაზე ადვილი ხომ არა არის, მაგრამ არა, ჩუენის ავდენის უთანხმოებით, ჩუენის ავდენის სხუა და სხუა აზრებით, ჩუენის ავდენის ამპარტავნებით, ჩუენის ავდენის თავის სიყუარულით, ჩუენის ავდენის პატივის მოყუარულობით, ჩუენის თჳთ რჯულობით, ჩუენის ავდენის საქმის გაუჩხრეკელობით, ჩუენის ავდენის შორის დაუნახაობით და ჩუენის ავდენის ერთმანერთის შურით, ერთმანერთისა რო არა მოგვწონსრა სრულებით, სულ ერთი მეორის ოპოზიციები ვართ და მარჯუენა მხარესკი აღარავინ გვიზის სწორე საჯოს, ასე გაოხრებულია ოპოზიციობისაგან ჩუენი მარჯუენა მხარე, რომლითაცა ამ ჩუენის სისუსტით დიდად სარგებლობს წყეული ეშმაკი და დიდად უხარიან ჩუენი ავდენი ჰაი ჰუიობით.

ერთს სოფელში ხუთი კომლი კაცი რო იდგა და ოცდა ათი მამასახლისი ჰყუანდათ, ჩუენი საქმე იმათ მიემსგავსება, ჩუენ რავდენიმე საცოდავები ძლივს შევი-

კრიბენით სასარგებლოდ ჩუენნის ენისა და ეს საცოდავები ჩუენნის უთანხმოებისაგამო, ორასად გავიგლიჯენით, ორასი წინააღმდეგობა მოგვხდა და ორას რიგად ვებუტებით ერთმანეთსა. უბედურო სუეო ჩუენო! არა, ვერ შამიტყჳა, ვის უწყრებით მართლა საცოდავები? კარგს გზაზედ არა ვართ დამდგარნი, თორემ თქუენ იცით. არ იცით რა დიდი მუცელი აქუს შურსა? უფრო პირდაპირ ვსთქუათ ასე სჯობია: შური არის ჯოჯოხეთი; უთანხმოება და წინააღმდეგობა გალებული კარები მისი, რომელშიაც წარწყმენდილნი დაინთქმიან საუკუნოთ. თუ მე ამასა ვტყუი ჩამაქუავეთ.

ჰაი მე კუდიანო, მე კუპრში და ფისში ამოვლებულო ეშმაკო. განა ამ ჩემს ლაპარაკში გაინაბე ჩუენნის ცისკრის კუთხეში სადმე, ეგება შენი ავდენი ეშმაკობა გადამავიწყდეს გულიდგან? არა ეშმაკო, შენი ავდენი საშინელი ცბიერება დასავიწყებელი არ არის. განა ეშმაკო ჩუენნი ცხჳრი შენი განსასვენებელი წიაღის საუკეთესო? ვნახოთ ჟამი და ბოლო რა იქნება.

მართლა როგორღაც უნებურად ითქუა: ჟამი და ბოლო, ნეტავი ეს მაინც შევიტყოთ, ჩუენნი ჟამი და ბოლო რა იქნება? ჰო, ჰო, ძლივს გიპოვე. აბა კოჭი შევაგდო, ჩუენნი ჟამი და ბოლო ვკითხო? თეთრო კოჭო შენსა მზესა.

—თჳთ ჩუენ რა ფაშა?

—ყირა. (ყირაზედ დადგა)

—ვისი ყირა?

—არშიყისა. (თავი.)

—ვის პურსა ვჭამთ?

—ქურდობისას. (ჭუკი)

—ჟამი და ბოლო?

—გზირობა. (თოხანი).

ღმერთმა შეგარცხვინოს კოშო, კარგი ბედის წერა ჩვენ მოგვითხარ გზირობა, თუ არ ხუმრობ. ამ ჟამად ჩვენი მოლაყბე შეუძლოთ შეიქნა და მცირედი ეს აუცილებელი სათქმელი მე მამისხსენების, თუ მეტნაკლები წამოგვცდა რამე შენდობილ ვიყვნეთ: ერთი ალილუია ღმდელსაც შესცდებაო.

მეჯრალე.

---

## სხჳა და სხჳა ამბავი.

—ქუთაისით. ჩვენის ქალაქის საზოგადოება საკმაოთ გრძნობს საზოგადოდ სარგებლობასა. ამ მოკლეს დრო-ში ისეთი შესანიშნავი შემთხჳევა მოხდა, რომლისაცა ცნობა საჭიროა «ცისკრის» მკითხველთათჳს.

ჩვენმა გენერალ გუბერნატორმა დააწყუს კანონად, რომ ყოველს შაფათობით შევიყარნეთ ხოლმე იმის სახლში, სადაცა შეგვიძლიან წავიკითხოთ სხჳა და სხჳა მწერლების თხზულება. ამ სახლში ახლა, ყოველს შაფათობით შევიკრიბებით ხოლმე სამოცითგან ვიდრე სამოცდა ათამდინ კაცი თუ ქალი. ყოველს შეკრებაზედ გმატებიან თითო ორიოდნი, ასე რომ სჩანს დიდი სურვილი და წარმატება ამ საზოგადოდ სასარგებლოს საქმეში.

ეს, კჳრაში ერთხელ წასაკითხად შეკრება გენერალ გუბერნატორმა დააწყუს უფრო გიმნაზიის მაღალის კლასის მოწაფეებთათჳს, იმ აზრით, რომ წასახალისოს და გააცნოს უპირჳელესნი მწერალნი. უფრო იმ გვარს წიგნებს კითხულობენ, რომელნიცა შეეხებიან საღმრთოს და ზნეობას, ახლანდელის დროს მოთხოვნილებას და ის-

ტორის. ჰი, აქამდისინ რა წაკითხულა ჩჳენს შეკრებილებაში: თხზულება გრანოვსკის: ტიმუჩინი, ალექსანდრე დიდი, წმინდა ლიუდოვიკი; სოლოვიევის: ბორის გოდუნოვის ტახტზედ ასჳლა; ვიზინსკის: სტიუარტი და ვილგელმი მესამე; პუშკინის: პოლტავა, ბორის გოდუნოვი; მაიკოვის: სამი სიკჳდილი; გოგოლის: რევიზორი, კოლიასკა და შინელი; ლერმანტოვის: ბოიარინი ორშა; გრიბოედოვის: ვაჲ ჭკუის პატრონს. დასასრულს ამ დაწყებების შემომტანმა თჳთან წაიკითხა კრიტიკური სტატია გრიბოედოვზედ, რომელიც დაუწერია მილიუკოვს.

კითხჳა დაიწყობა ხოლმე რვის ნახევრითგან, და შეიცავს სამს ნაწილს. პირჳელში იკითხება იმ გჳარი თხუზულება, რომელიცა შესძინებს მსმენელს ჰსწავლასა, მეორედ დრამმები და მესამე სასაცილო კომედიები. რა გათავდება ხოლმე კითხჳა, მაშინ იწყობა ვახშამი, რომლის შემდგომს ვიშლებით.

—ქუთაისითგ.—დეკემბერში ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეეთა ჰქონდათ წარმოდგენა რამდენჯერმე, რომელშიაც გასავალს გარდა შემოვიდა **148** მან. და **70** კოპ. ამ ფულითგან გაგზავნეს პეტერბურღში სხჳა და სხჳა ჟურნალების დასაბარებლად **83** მან. და **50** კოპ. ამ ფულის გაგზავნაზედ დაიხარჯა **1** მან. და **52** კ. შესავლ გასავალის ჩასაწერს წიგნში მიეცა **1** მან. და **25** კოპ. დანაშთენი **50** მან. შენახულია გიმნაზიის დირექციაში.

—პროვიანტის მაგაზიის ჩინოვნიკებმა მოაგროვეს თავიანთში ფული, რომელიც შესდგა ცამეტი თუმანი და ერთი მანეთი, და ეს ფული გაგზავნეს ს. პეტერბურღის უნივერსიტეტში ღარიბის სტუდენტების შესაწევნელად.

—მთავრობის განკარგულებით აპრილის **15**, ტფილისში იქნება დოლი, საჩუქარი, რომელიცა დაენიშნებათ

კარგის ულაყის ცხენის პატრონთა არის პირუ̂ელის ხარისხისა ვერცხლის ვაზა ორმოც და ათ თუმნათ ღირებული; მეორე, ფულათ თხუთმეტი თუმანი. კარგის ჭაკის ცხენის პატრონთა პირუ̂ელის ღირსებისა ვერცხლის ვაზა ას თუმნათ ღირებული, ხოლო მეორეს ღირსებისას ფულათ ოცდა ხუთი თუმანი. მანძილი იქნება ულაყის ცხენებისათჳს ექვსი ვერსი, ხოლო ჭაკისათჳს ოთხი.

—ყარაის მინდორზედ, რომელიცა არის საკელმწიფო, მთავრობის განკარგულებით აღკრძალულია ნადირობა.

—ტფილისში, ქართულის თეატრის მოყუ̂არეთაგან ყუელიერის შაფათს **17** ფებერვალს შუადღისას **12** საათზედ წარმოდგენილ იყო ქართულს ენაზედ კეთილის საქმის სასარგებლოდ ახლად დაწერილი და ახლადვე წარმოდგენილი ორი პიესა. ერთი «ძალად ცოლის შერთვევინება» მოლიერის კომედია, ფრანცუზულითგან გადმოთარგმნილი დ. ყიფიანისაგან და მეორე «შური» დრამა სამს მოქმედებად და ერთ კარტინად თხზულება კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. ამ ჩუ̂ენმა მწერალმა ქალმა, ჩუ̂ენს ლიტერატურას აჩუქა მახჳლ გონიერულად დაწერილი დრამაც, სადაც გამოყუ̂ანილია ყოველი ჩუ̂ეულება, ახლანდელის საუკუნისა. ჩუ̂ენგან მომატებული იქნება ქება, თჳთან მკითხუ̂ელნი სცნობენ ამ მოკლეს დროში, რადგანც იქნება საკუთარ წიგნად დაბეჭდილი. საჭიროთ ვრაცხთ მოვახსენოთ მკითხუ̂ელთ რა განზრახჳთაც წარმოადგინეს ეს ორი პიესა ქართულის თეატრის მოყუ̂არეთა: შემოსავალითგან, რომლითგანაც დარჩა გასავალის გარდა ოცდა ათი თუმანი, ერთის ნაწილითგან უნდა დაიბეჭდოს ქართული ანბანი და დაურიგოთ ღარიბს ყმაწჳლებს როგორც ქალაქში აგრეთვე სოფლებში უფასოთ. მეორეს ნაწილითგან უნდა დაიბეჭდოს დრამა კნ. ბარბარე ჯორჯაძისა და გაისყიდოს სასარგებლოთ იმ ქალების პანსიონისა, რომლისაცა

დაფუძნებას აპირებენ ქ. თელავში. ჩჳენს მწერალს ქალსა სურდა თჳთონ ეს შემოსული თეატრში ფული გადეგზავნა ადგილობრივ თელავის პანსიონისათჳს, მაგრამ რადგანაც მაგდენს არაფერს შეადგენდა ამისათჳს ამჯობინა დაბეჭდა ამ დრამისა, რადგანაც იმედია ერთი ორათ შესდგეს ფული. წარმოდგენა დიდად მოეწონა ჩჳენს საზოგადოებას, გათავების დროს შექნეს მაყურებელთა ტაშის კჳრა და ძახილი, სადაცა ისმოდა ხმა მთხუზველის ქალის ქებისა, მწერალი ქალი იჯდა ზემოთ ლოჟაში მშჳდობიანის სახით და მინამ არ წამოდგა და არ გადუხადა მადლობა თავის დაკჳრით, არ გაწყჳეტილა ტაშის კჳრა და ზახილი. შემდგომს წარმოადგინეს ჩინებულად ნათარგმნი კომედია დ. ყიფიანისაგან და დასრულების დროს, გადუხადა აგრეთვე საზოგადოებამ მადლობა. რაც შეეხება მოქმედთ პირთ და რაც შეეხება იმათს გამოცდილებას, წარმოადგინეს ისე, რომ უკეთესის მოთხოვნა ძნელი გასაბედი იყო ჩჳენის მხრივ. ამ წარმომადგენელში ყოველზედ აღემატებოდა უფ. სააკოვი, სტეფანე ფერმალის როლში (შურის დრამაში) და სგანარელის როლში კომედიაში. იმისს კომიკურს მიხრა-მოხრას განკჳრჳებაში მიჰყავდა მაყურებელი. უფ. მიზოევი თ. ვახტანგის როლში, უმეტესად მაშინ, როდესაც როგორც ძჳელი კაცი, დაიცინებოდა ახლანდელს დროზედ. უფ. ყიფიანი, კომედიის ფილოსოფოზის როლში, მართლად და მოსაწონი იყო, ისე ასრულებდა თავისს როლს. თ. მაჩაბელი და უფალი სარქისოვი ქალების როლში, ისეთის მიხრა მოხრით ადგენდნენ, რომ ქალებში ძნელად გასარჩევნი იყვნენ. ქალი ვახსენე და მამაგონდა, აი ჩჳენის ქჳეყნის უბედურება: ამ წარმომადგენელთა, სულით და გულით კეთილშობილთა, ზოგი ერთთ ქალებს მიმართეს თხოვნით მიეღოთ მონაწილეობა ამ

საზოგადო კეთილს საქმეში და ვერას გზით ვერც ერთს ვერ გააბედინეს, ყველა სირცხვილსჰყვედა სდებდა თავსა, ის სირცხვილია ზოგ ერთათჳს რაც რამ კეთილი საქმეა და იგი არ არის სირცხვილი, რომ... ეჰ! მადლობა ღმერთსა, უამისოთაც იოლათ წაველით ნიჭიერის ყმაწვილის კაცის თ. მაჩაბლის და უ. სარქისოვის შემწეობით. შ. უ. სერებრაკოვი, გორინთელი, პაიჭაძე, ტერაკოზოვი, თ. ჩოლოყაშვილი თავიანთის როლს ადგენდნენ აგრეთვე ჩინებულათ, გულს მოდგინებით და დიდის გმაყოფილებით. ყოვლის სახითგან გამომეტყველებდა კეთილშობილური გრძნობა. ინებოს ღმერთმან არ გაცვდეს ამათში ეს კეთილშობილური საზოგადო კეთილის სურვილი. ჩუენის მხრივ ამაზედ მეტის თქმა არ შეგვიძლიან, რადგანაც ვიყავით მონაწილენი ამ საზოგადოს საქმეში. დაწვრილებით აღწერა და გარჩევა ამ პიესების მიგჳნდვია თჳთან მაყურებელთათჳს.

---